გაზეთი ბოევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№63 (1089) 8 – 9 ივნისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

დიცო გელოვანი

გვ. 2

ოდესა – დედა... მამა მოსკოვია

ის, რაც ცდებოდა წინა კვირაში

ანი ნადარეიშვილი: „ჩემს ყველა განცხადებაზე პასუხს ვაგებ – დავალება აქვთ: ბაჩო და რამდენიმე ადამიანი გაანეიტრალონ. ამ დავალებებს კარასინი აბაშიძეს აწვდის!“

გვ. 3

ქმნის თუ არა პარტიას, რატომ მიატოვა საკუთარმა გუნდმა და რა შეცდომებს აღიარებს ბაჩო ახალაია

რა კავშირი აქვს სააკაშვილის უკრაინულ აქტიურობას პოლიტიკოსთა სერიულ თვითმკვლელობებთან

გვ. 7

რას უყვებიან ოდესელები „ვერსიას“

ხელისუფლების ინიციატივით, მთის მოსახლეობას პენსია უორმაგდება, ახლადშექმნილ ოჯახებს კი 10 000 ლარი გადაეცემათ

გვ. 6

რუსთავის №17 ზონაზე „კაი ბიჭმა“ ვენები გადაიჭრა

პატიმრის დღიური

„რომ იტყვიან, ცოლი გაუთხოვდაო, „რამკენს“ ვინ მამტვრევინებს... ერთ ქალს ვერ მოვუარე და ზონას მოვუვდი?!“

გვ. 8

რატომ წავიდა და როგორ ცხოვრობს დიასპორის მინისტრი გელა დუმბაძე მონასტერში

გვ. 4–5

არა-ჩვეულებრივი ექსკლუზივი

რეპორტაჟი ვეჯინის მამათა ღავრიდან

ოდესა — დედა... მამა მოსკოვია

დიტო გელოვანი

დამშვიდდით, — თქვა ოსტაპმა, — ჩემი პროექტი თქვენი ქალაქის საწარმოო ძალებს გაუგონარ გაფურჩქვნას უქადის. აბა, ერთი დაუფიქრდით, რა იქნება, ტურნირი რომ გათავდება და სტუმრები წავლენ. მოსკოვის მცხოვრებნი, საბინაო კრიზისი რომ აწუხებთ, თქვენს დიდებულ ქალაქს მოასკდებიან. დედაქალაქი ავტომატურად ვასიუკში გადმოინაცვლებს. მთავრობაც აქვე გადმოვა. ვასიუკს ნიუ-მოსკოვს დაარქმევენ, მოსკოვს კი — ძველ ვასიუკს. ლენინგრადელები და ხარკოველები კბილებს ააღრჭიალებენ, მაგრამ ვერაფერს გახდებიან. ნიუ მოსკოვი ევროპის, მალე კი მთელი მსოფლიოს ელეგანტური, სწორუპოვარი ცენტრი გახდება.

(ილია ილფი, ევგენი პეტროვი — „თორმეტი სკამი“)

ალბათ, გახსოვთ, მაგრამ მაინც შეგახსენებთ დიდი კომბინატორის სრულ სახელს — ოსტაპ სულეიმან ბერტა მარია ბენდერ ბეი. იგი თურქეთის ქვეშევრდომის შვილი იყო, ჯერ სკამებს დასდევდა, შემდეგ მილიონებს, ბოლოს კი, დაიღალა და თქვა: „ოვაციები საჭირო არ არის! გრაფი მონტე-კრისტო ჩემგან არ გამოვიდა და სახლმმართველად გახდომა მომიწევს“.

რაც გინდა ლამაზი იყოს ქალაქი, ნაგავსაყრელი მასაც კი აქვს, ამით იმის თქმა მსურს, რომ ნაგავი და ნარჩენები ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ცხოვრება ისტორიაა, ისტორიასაც აქვს სანაგვე.

არის ასეთი... მიხეილ მიშა მაღალი (ტანად) უხვი (ტყუილებში) მდაბალი (ზრახვებში) ლაშქარმრავალი (იდიოტებს და ნაძირალებს რა გამოლევს) ყმიანი (მათზე ფარულ ჩანაწერებს ფლობს) საახოვ საააკაშვილი. იგი რომელიღაააც საბჭოთა ქვეშევრდომის შვილია და მის ვინაობას და სადაურობას ვერ დავაკონკრეტებ, ამიტომ ზოგადად ვიტყვი — ეგო ადრეს ნი დომ ი ნი ულიცა, ეგო ადრეს სავეცკი საიუზ.

დაზუსტებით კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ზემოხსენებული „ის“ ფეესბეს გენერლად დაწინაურებული კაგებეს პოლკოვნიკის დისშვილია, ჯერ კიდევ დასდევს სკამებს, მაგრამ დადგება დრო, ჩაჯდება, დაჯდება და იტყვის: „ედმონ დანტესი ჩემგან არ გამოვიდა და რუდოლფვალენტინოვიჩობა მომიწევს“.

იქნება და... რუდიკვალენტინოვიჩობამაც მოუწიოს?! რას გაიგებ... არადა, ხომ ყველამ ვიცით, რომ მთავარი გაგებაა! ამასთან დაკავშირებით, ჩემმა მეგობარმა სააგენტომ სასიამოვნო ნიუსი გაავრცელა — „3 ივნისს „ნიუ ჰოსპიტალსში“ ხელი მოეწერება ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს სმენის აღდგენასთან დაკავშირებული ურთულესი ოპერაციების ჩატარებას და ქართველ და გერმანელ ექიმებს შორის სამომავლო თანამშრომლობის გეგმებს“.

იმედს გამოვთქვამ, რომ პირველი ურთულესი ოპერაცია გერმანიის კანცლერს ჩაუტარდება, რის შემდეგაც დასავლეთის სხვა ლიდერებიც გადაწყვეტენ მოსმენა-გაგებასთან დაკავშირებულ პრობლემებს და შემდეგ, იქნებ, ჩვენც გაგვაგებინონ, რას ნიშნავს „მაპზე უკეთესი“.

მაპზე უკეთესი, მოსახლეობის (მოსახლეობა და საზოგადოება ერთმანეთში ნუ აგვერევა) აზრით, მხოლოდ ერთია — „დენი ათ თეთრად, გაზი ხუთ თეთრად, წყალი უფასოდ“, რაც იმას ნიშნავს, რომ ნინო ბურჯანაძის პადდელნიკი დევიდ კამერონს ჩაისვამს ჯიბეში, ნაძალადევის გამგებელი — ფრანსუა ოლანდს, ხოლო „რეაქციის“ წამყვანი — ანგელა მერკელს.

ვინ ვის ჯიბეშია, ვისი ვისაშია, ვინ ვინ არის და, როგორც საახოვის დამფუძნებელი მამა იტყოდა — „რანი არიან ხალხის მეგობრები და როგორ იბრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“.

ზემოხსენებული „ის“... „გიორგი კვერენჩხილაძე — პირს ავტომატურად ჩამოერთმევა საქართველოს მოქალაქეობა, თუ დადასტურდა, რომ იგი უცხო ქვეყნის მოქალაქე გახდა“.

დაახლოებით მივხვდი, ვის გულისხმობდა ბ-ნი კვერენჩხილაძე, მაგრამ „ის“ არც პირია, არც ცხვირი, არც სახე და არც მარჯვენა, თუნდაც დიდოსტატისა და თუნდაც ოსტატისა. „ის“ არის ის, რასაც აქ არ ვიტყვი, მაგრამ გამგები გაიგებს და ამით თავიდან აიცილებს სმენის აღდგენასთან დაკავშირებულ ურთულეს ოპერაციას. კვერენჩხილაძეს კი მოვუწოდებ, სხვა დროს სიტყვები შეარჩიოს და ყველა ორგანოს ის სახელი დაარქვას, რომელსაც იგი, ორგანო იმსახურებს.

ისეც ხდება ხოლმე, რომ ორგანო იმსახურებს ორგანოს და საახოვის განცხადებაზე, ქართველი ხალხი თავად დამაბრუნებს საქართველოშიო, ალბათ, ყველას „უძინართა მზე“ გაახსენდა — „ფულის მაგივრად სხვა რამე რომ მოგცე?“

„ის“ არის ის, ოდესა დედაა, მამა მოსკოვია. „ის“ მხოლოდ ინსტრუმენტია და ბ-ნ კვერენჩხილაძეს ასე უნდა ეთქვა: „ინსტრუმენტს ავტომატურად ჩამოერთმევა საქართველოს მოქალაქეობა, თუ დადასტურდა, რომ იგი უცხო ქვეყნის მოქალაქე გახდა“.

მე თუ მკითხავ, საქართველოს მოქალაქეობა ყველა ინსტრუმენტს უნდა ჩამოერთვას და მაშინ ეს ქვეყანა საბოლოოდ გათავისუფლდება გოგახაჩიძეებისგან, გურგენდონაძეებისგან, აკოსიდედრიჩებისგან, გაბაშვილ-ჯუნიორებისგან... ლოქო იქნება ქინძმარში და არა საზოგადოებრივი მოძრაობის სათავეში, სტადიონზე იქნება ფეხბურთი და არა ცირკი, ხოლო ცირკთან აღარ გაიყიდება ის, რასაც დღეს ყიდიან. ყოველ შემთხვევაში, თუ მაინც გაყიდიან, საქონელი იქნება ხარისხიანი.

„საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი არ აკონკრეტებს, შეეძლება თუ არა საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს როგორც ოდესის მხარის გუბერნატორს, საქართველოში დიპლომატიური პასპორტით ჩამოსვლა“ — იყო ასეთი ნიუსი, რომელზეც სხვა დროს გავბრაზდებოდი, რას ჰქვია, მინისტრია და ვერ აკონკრეტებს-მეთქი, მაგრამ ბევრად მნიშვნელოვანია, შევძლებთ თუ არა საქართველოში ბადრაგით მის ჩამოყვანას. „ოფიციალური თბილისი არ აპირებს, მიხეილ სააკაშვილის ოდესის ადმინისტრაციის უფროსად დანიშვნის გამო, უკრაინას საპროტესტო ნოტა გაუგზავნოს. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა თამარ ბერუჩაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, უკრაინის მთავრობის სუვერენული უფლებაა, თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე საკადრო გადაწყვეტილებები მიიღოს“...

აკი, მოყვარეს პირში უძრახეო? აკი, სიმართლე სინათლეაო? აკი, ქმნა მართლისა, სამართლისაო და რემა? მაგრამ ეს პოლიტიკაა და სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს და ბათუმი-ილიჩევსკის ბორანს სევდიანი მზერით აცილებდეს.

ახლა, როცა საახოვი საქართველოს მოქალაქე აღარ არის, ნაცბანდაში ყველა ხელებს შლის, ენაზე ვინ ექაჩებოდა, სხვა ქვეყნის სამოთხესთან შედარებით საკუთარი სალი კლდეების უპირატესობაზე რომ გაჰყვიროდაო.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები მომავალ კვირას უკრაინაში გამგზავრებასა და მიხეილ სააკაშვილთან კონსულტაციების გამართვას გეგმავენ. სავარაუდოდ, პარტიის თავმჯდომარეობასთან დაკავშირებული საკითხი სააკაშვილთან შეხვედრის შემდეგ გადაწყდება“ — ისინი ახლა უკვე იქ არიან და მასთან იმის შესახებ გადიან კონსულტაციებს.

„საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ უნდა დაიწყოს პროცედურები. აღნიშნული გადაწყვეტილება ორი ქვეყნის მთავრობას არ მოეწონა, ერთია, რუსეთის პრემიერ-მინისტრი და მეორე საქართველოს პრეზიდენტი და იუსტიციის მინისტრი. იუსტიციის მინისტრმა უნდა მოიკვლიოს საბუთები და პრეზიდენტს მიმართოს შუამდგომლობით, მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტასთან დაკავშირებით. დაველოდოთ ამ გადაწყვეტილებას. ჩვენ ველოდებით, რომ ეს პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება იქნება. საკითხს გადაწყვეტს ბიძინა ივანიშვილი“, — განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა.

მაშ, მხოლოდ საქართველოს მთავრობას არ მოეწონა? ეგრე ხომ მეც და თქვენც მთავრობა გამოვდივართ? ანუ, მაჭავარიანს იმის თქმა უნდა, რომ საქართველოს მთავრობა ჭეშმარიტად სახალხო მთავრობაა? არ ვიცი... ის თუ იცის ვინმემ, ეს ნიუსი — „უკრაინის ბედი პირველ რიგში ახლა ოდესაში წყდება, — ამის შესახებ „ლიგა.ნეტის“ ცნობით, ოდესის გუბერნატორმა და საქართველოს ექსპრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა“ — ოდესაში ნაცების გამგზავრებამდე გავრცელდა თუ გამგზავრების შემდეგ?

მე მაინც მგონია, რომ — გამგზავრების შემდეგ. სხედან ახლა ოდესაში „ის“ და მისი „ისინი“ და უკრაინის ბედს წყვეტენ, ლუგანსკის ოლქს დაარქმევენ სამხრეთ რიაზანშჩინას, დონეცკის ოლქს დაარქმევენ დასავლეთ ტამბოვშჩინას, ოდესას დაარქმევენ ქვემო არხანგელსკს და უკრაინის ბედიც გადაწყდება. ამის შემდეგ იქნება დამარცხების აღსანიშნავი ზეიმი და ექვსპუნქტიანი შეთანხმება. თავხედები... არმაგედონის ზანგის ქვედხედები!!!

ყველას გეხსომებათ „არსენალის მთა ღამით“ და ორი კვირის წინანდელი პერიპეტიები. ნაცებში ერთი ამბავი და ერთი კრეატივი იყო. არავის სციოდა, არავის შიოდა, ნიაზ დიასამიძე კი კრეატიულად ტიროდა — ხელოვნების ნიმუშს ვკარგავთო. არადა, ხელოვნების ნიმუში დიდი ხნის დაკარგული იყო. დიასამიძე, ალბათ, ახლაც ტირის, რადგან ხელოვნების ნიმუში აღარ არის დაკარგული, პოლიტიკური ქულები კი დაკარგულია.

ყველას გახსოვთ ნიკა რურუას ვერსიები, ერთმანეთზე უარესი და ერთმანეთზე მარაზმატიკული. რა ვუყო, ახლა... უბრალოდ, გული მტკივა, როცა ჩემი თაობის ადამიანები ბებრულ მარაზმში ვარდებიან, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ რომ ზოგი პირდაპირ ბებრად იბადება და როცა „ქარი ქრის“ მღერიან, პირად ქარებს და თავ... თავ?! კარგით — თავშეუკავებლობას გულისხმობენ.

გასული კვირის ერთ-ერთი მთავარი თემა მარიხუანას დეკრიმინალიზაცია იყო. კინაღამ „პლანი“ წამომცდა. ვინც პლანს ეწევა, პუტინის მონაა, ვინც მარიხუანას აბოლებს — პროდასავლელი, ლიბერალი და თავისუფალი დემოკრატი.

ერთი ორჯერ, შესაძლოა, სამჯერ თუ ოთხჯერ, მეც ვიყავი პუტინის მონა, უფრო სწორად — ელცინის მონა და ფარფლების Childe in Time-ს ვუსმენდი, ხოლო ეს პროდასავლელები, ლიბერალები და თავისუფალი დემოკრატები უსმენენ ზუმბას, და Childe in Time „სმერწ ფარაონა“ ჰგონიათ. მაგათ ისიც ჰგონიათ, რომ მარიხუანას დეკრიმინალიზაცია, ბალახეულის თავისუფლად გაყიდვას, მწეველთათვის საპარლამენტო კვოტების გამოყოფას და მთაწმინდის პანთეონში ქეშებისთვის გარანტირებულ ადგილებს გულისხმობს.

გასულ კვირაში დავით დეფილე-გოგიბედაშვილის მკითხველებმა კანცელარიასთან აქცია გამართეს. ერთ-ერთ აქციონერს ხელში ტრანსპარანტი ეკავა — „შოთა, ილია, ვაჟა და აკაკი ჩვენთან არიან“. ეგ არის აღმაშფოთებელი ტყუილი. აღმაშფოთებელი სიმართლე კი ის არის, რომ მათთან არასოდეს ყოფილან დედები, მამები, ბებიები, ბაბუები, მასწავლებლები, ფარფლები, ზეპელინები, როლინგები, დორსები და პინკ-ფლოიდები.

პირველ რიგში, მათ მინდა ვუთხრა, რომ Fireball-ში იან გილანი სრულიადაც არ ლანძღავს ჯონ ლენონს და მეორეც — მეტი აღარ მოწიოთ, რას ჰგავხართ!!!

ჩემი აზრით და ღრმა რწმენით, დაბოლილი ტიპი უნდა წაიყვანო და საზოგადოებისთვის სასარგებლოდ შრომა აიძულო. რაც უფრო ვზროსლია, უფრო მეტი უნდა აპახავო, ასე 15-20 დღე ქუჩები უნდა დაასუფთავებინო, სანიტრად უნდა გაამწესო, ხეები დაარგვევინო, ვაზი შეაწამლინო... მოწევაზე კაცის დაჭერა კვერცხობაა. აბა, რა წესია, სადისტი, რომელიც ხალხს აწამებდა კაბინეტში იჯდეს, ხოლო მაზოხისტი, რომელიც თავს იწამებს — ციხეში?!

მეტი აღარ მოწიოთ, გაიხსენეთ ბრაიან ჯონსი, ჯიმი ჰენდრიქსი, ჯენის ჯოპლინი, ჯიმ მორისონი, კურტ კობეინი და ემი უაინჰაუსი და დაივიწყეთ საპარლამენტო კვოტები და ქეთათო, რომელიც იქნება და, მართლა დედოფალია, მაგრამ — ტრუხა დედოფალი.

რა, ტრუხა პლანი არ მოგიწევიათ?

ეგრე სჯობს, თორემ მადა ჭამაში მოდის და მერე, როცა პატრული მოგადგებათ, პოლისჯოხის უკან დამალვა ვეღარ გიშველით.

ა, მშვენიერი სათაური — „ხმაურთან დაკავშირებული საკანონმდებლო ინიციატივა ბიუროს სხდომაზე ხმაურის მიზეზი გახდა“.

ანაც ეს: „გიორგი აბაშიშვილი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორთან დიალოგის დაწყების წინადადებით მიმართავს“.

უფრო უარესი: „არჩილ ხაბაძემ სოფელ კაპნისთავში შუა საუკუნეებით დათარიღებული მარანი დაათვალიერა“.

ასე, სათაურების კითხვა შორს წაგვიყვანს და ვერც ქვეყანაში არსებულ ჯიგრულ გარემოზე შეგვიქმნის სრულ წარმოდგენას. არადა, იმისი არ იყოს, ათას ცოცხალს ზოგჯერ ერთი მკვდარი რომ ჯობს, ხანდახან ათას სათაურს ერთი ნიუსი, თუნდაც ნიუსის ნაწყვეტი ჯობნის. მაგალითად ეს: „შენ ჩემს უძრავ ქონებას რას ეხები, შე ნაძირალავ. შე მათხოვარო. შენ უნდა მოკვდე ისე, რომ უძრავი ქონება არ გეღირსოს“, — მიმართა შოშიაშვილმა ბასილაიას. გადაცემის წამყვანმა შოშიაშვილს მოუწოდა, რომ წყევლა არ იყო საჭირო. ბასილაიამ კი შოშიაშვილს ამის გამო ქალუსია უწოდა. „ქალუსია და პიდარასტები მოიკითხე პარტიაში“, — განაცხადა შოშიაშვილმა, რის საპასუხოდ ბასილაიამ უპასუხა, რომ უნამუსო იყო და წყალი შეასხა. საპასუხოდ შოშიაშვილმა ბასილაიას წყლიანი ჭიქა ესროლა. წამყვანმა მათი სტუდიიდან გაყვანა ითხოვა და გადაცემა ეთერიდან გავიდა.

მოვითხოვ წყლიანი ჭიქის სროლის დეკრიმინალიზაციას!!!

მოითხოვე და მოგეცემა!

ერთი ნიუსიც: „ევროკავშირმა რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლის სპეციალური ორგანო შექმნა. ევროპული მედიის ცნობით, სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახური რუსეთის ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ იბრძოლებს. აღნიშნული უწყება იზრუნებს ევროპის მიერ რუსეთისა და ევროკავშირის მოსაზღვრე ქვეყნების მოსახლეობასთან დიალოგის დამყარებაზე“.

გადასარევი აზრია. ახლა, მთავარი შესრულებაა, როგორც ბაბუაჩემი იტყოდა — იმპლემენტაცია.

გული ცუდს მიგრძნობს. გული მიგრძნობს, ეს სპეციალური ორგანო თავის ადგილობრივ პროდასავლელ ორგანოებს დააფინანსებს და სადმე, ბათუმში ან გუდაურში შეიკრიბებიან ენჯეოშნიკები, დასხდებიან, იჭორავებენ, ერთმანეთის სქესს გამოიკვლევენ, მერე დალევენ (კანიაკს) და მოწევენ (პლანს), მერე იმღერებენ (ულიტაიწე ვორონი), დაიძინებენ და სანამ გაიღვიძებენ, ვინმე, ყოველგვარი სასჯელ-სანქციების გარეშე საზოგადოებისთვის სასარგებლოდ მშრომელი კაცი ან ქალი, გულდაწყვეტილი გაიფიქრებს: „ესენი მაინც ვერ შემაყვარებენ რუსეთს“.

მ. რ. (მოაწყობენ რომელია!!!) ოთახში მყოფნი გროსმაისტერს დაძაბულად მისჩერებოდნენ. „ვიმეორებ, ყველაფერი ვასიუკელების თვითმოქმედებაზეა დამოკიდებული. კიდევ ვიმეორებ, რომ საქმის მთელ ორგანიზაციას მე ვკისრულობ. ფული ერთი კაპიკიც არ დაიხარჯება, თუ რა თქმა უნდა, დეპეშების ფასს არ ვიანგარიშებთ“. ცალთვალა თავის თანამებრძოლებს მუჯლუგუნებს ჰკრავდა. „აბა, — ეკითხებოდა იგი, — რას იტყვით?“ „მოვაწყობთ, მოვაწყობთ!“ — ყაყანებდნენ ვასიუკელები.

(ილია ილფი, ევგენი პეტროვი — „თორმეტი სკამი“)

ანი ნადარეიშვილი: „ჩემს ყველა განცხადებაზე პასუხს ვაგებ – დავალება აქვთ: ბაჩო და რამდენიმე ადამიანი გაანეიტრალონ. ამ დავალებებს კარასინი აბაშიძეს აწვდის!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

სამი წელია, მეუღლე წესიერად არ უნახავს, ყოფილ მმართველ პარტიაზე, ადამიანურად, ნაწყენია... ამბობს, რომ პოლიტიკა, რომელმაც მამა და ქმარი წაართვა, სძულს, თუმცა ყველა პოლიტიკოსზე აქტიურია — არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლებისა და მხარდაჭერის ცენტრი“ შექმნა, აქციებსაც ატარებს. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ყველაზე ოდიოზურად შერაცხული ლიდერის, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ექსმინისტრის, სად-ის ყოფილი უფროსის, ბაჩო ახალაიას მეუღლე ანი ნადარეიშვილი „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს, არავის ვემალები და პასუხი ყველა კითხვაზე მაქვსო, თუმცა ისიც იცის, რომ ეს პოზიცია დაგვიანებულია და პასუხის გაცემა, სიმართლესთან ერთად, ბევრ ჭორსა და მითზეც უწევს... ამტკიცებს, ყველაზე მეტად მე და ბაჩო სწორედ ამას ვნანობთო. ქმნის თუ არა ახალ პარტიას ბაჩო ახალია, რომელია მისი ყველაზე დიდი ჩინოვნიკური შეცდომა, ვის სურს ახალაიას განეიტრალება და მიატოვა თუ არა საკუთარმა გუნდმა? — „ვერსიის“ კითხვებს ანი ნადარეიშვილი პასუხობს.

ქმნის თუ არა პარტიას, რატომ მიატოვა საკუთარმა გუნდმა და რა შეცდომებს აღიარებს ბაჩო ახალაია

— ბაჩო ახალაიას 16 ბრალი აქვს წაყენებული. აქედან 13-ში გამართლდა, ერთზე ჯერ სასამართლო არ დაწყებულა, ორ საქმეზე კი გამტყუნდა, მათ შორის, ერთხელ, „ქურდებისა“ და „მაყურებლების“ მიცემული ჩვენებების საფუძველზე, როცა ბაჩომ მათთან ერთად სასამართლო დარბაზში ყოფნაზე უარი თქვა. მაშინდელმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა შეიწყალა. ბაჩო 2 წელი უკანონო პატიმარი იყო — წინასწარ პატიმრობაში ზუსტად 23 თვე გაატარა, თუმცა ბოლოს, როცა ბრალი ვეღარაფერში დასდეს, მოსამართლეზე იძალადეს. ეს ინფორმაცია ჩემამდე იოლად მოვიდა, რადგან სასამართლო სისტემაში ვმუშაობდი. შესაბამისად, მოსამართლემ ის განაჩენი გამოიტანა, ხელისუფლება აანონსებდა, თუმცა საქმეში მოწმეებად ოთხი 12-ჯერ ნასამართლევი პირი მოიყვანეს. მათგან ერთ-ერთმა თავის შეკავებაც ვერ შეძლო და ყაჩაღობა სასამართლო პროცესის მიმდინარეობისასაც ჩაიდინა. ყველა, ვინც ჩვენება ბაჩოს წინააღმდეგ მისცა, ან „კანონიერ ქურდია“, ან „ჯაშუში“, ან მრავალჯერ ნასამართლევი. თავს დავდებ, ამდენ საქმეში სუფთა წარსულის მქონე ერთი მოწმეც არ არსებობს.

— ნებისმიერ შემთხვევაში, თქვენი მეუღლის სისასტიკეზე მითები დადიოდა და ერთ-ერთ ოდიოზურ ლიდერად იქცა. რატომ?

— ძალიან ბევრს ეგონა, რომ ბაჩო ახალაია ჯალათი და სისხლისმსმელი იყო. ისიც კი გავიგე, რომ აიკვანზე თურმე მგელი გვყოლია, რომლისთვისაც ბაჩოს პატიმრების ხორცი მოჰქონდა. ასე გაზარდა და ბაჩო რომ დაიჭირეს, თურმე ჩხრეკისას ეს მგელი ნივთმტკიცებად „ამოიღეს“, პოლიციამ წაიყვანა, დაკლა და ვიღაცას ტყავი დღესაც სახლში უკიდია. ამ დროს, მგელი კი არა, ძაღლიც არასოდეს გვყოლია. მსგავსი ლეგენდები ისე აქტიურად ვრცელდებოდა, რომ ამაზე ხშირად ნაცნობები და ახლობლებიც მეკითხებოდნენ.

— ლეგენდები იქეთ იყოს და, ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემა უამრავ ადამიანს სურს. მაგალითად, გლდანის ციხის პატიმარი ამბობს, ბაჩოს ბრძანებით, თანამშრომლები პატიმართა ცოლებს აუპატიურებდნენო. როცა ბაჩო ახალაია დაჭერილია, ასეთი რამის თქმა ვის რაში სჭირდება?

— ეს რაღაც ახალია. საინტერესოა, ეს პატიმარი აქამდე რას აკეთებდა? თუ ასეა, ის პატიმარიც გავიხსენოთ, რომელმაც პირდაპირ ეთერში განაცხადა, მაიძულებენ, ახალაიას წინააღმდეგ ჩვენება მივცე, არადა ეს კაცი თვალითაც არ მინახავსო. არავინ იცის, დღეს გლდანის ციხის ეს პატიმარი რა მდგომარეობაშია, თუმცა რა უნდა გამიკვირდეს: ლალი მოროშკინამ თქვა, ახალაია პატიმრებს ავტომატით ცხრილავდა, მაგრამ მისი ცოლი გადაეფარა და გადარჩინაო. ასეთი ხმა გამუდმებით, ალბათ, იმიტომ ვრცელდება, რომ ახალაიაზე მითი არ დაინგრეს. არადა, „ოცნება“ დიდი „შლანგით“ მისდგა ბაჩოს და, ფაქტობრივად, მთელი ის ტალახი რასაც ამდენი ხანი მის გარშემო აგროვებდა, თავად ჩამორეცხა.

— როცა ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობა იყო, ბაჩოს ტალახს ვინ ესროდა?

— ვინ და „კანონიერი ქურდები“ და ის ხალხი, ვისი მტერიც ბაჩო იყო და გზიდან ვერაფრით მოიშორეს. მას ფულიც შესთავაზეს, ბუნტიც მოუწყვეს, თანამშრომლებიც გაუფიცეს და მერე შავი პიარი აუგორეს.

— გადაცდენები რომ იყო და, განსაკუთრებით, პენიტენციურ სისტემაში, ამას დავაც არ უნდა, თუნდაც ციხის ბუნტის დროს თავპირდასისხლიანებული არაერთი პატიმარი ვნახეთ. ციხეში სიკვდილიანობაც ხშირი იყო...

— ციხის ბუნტის დროს, ბაჩო ახალაია ბრძანების გამცემი არ ყოფილა. ბუნტი სპეცრაზმმა ჩაახშო, რომელიც სხვადასხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლებით იყო დაკომპლექტებული, ბაჩო კი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი გახლდათ და იუსტიციის მინისტრს ექვემდებარებოდა, ამიტომაც ამ საქმეზე გამართლდა.

— ეს ბრალდებები იქნებ იქიდან მოდის, რომ ისედაც ჩაკეტილი სისტემის ყველაზე ჩაკეტილი უფროსი იყო. არც ამას უთვლით შეცდომად?

— ბაჩოს ხალხთან ურთიერთობა ძალიანაც უყვარს და თბილი ადამიანია, მაგრამ, პირდაპირ გეტყვით, კამერებთან საკეკლუცოდ კი არა, საკუთარი ოჯახისთვისაც ვერ იცლიდა. 24 საათი მუშაობდა, არც პიარი აინტერესებდა და არც ჭორები. ირაკლი ალასანია ბრიგადაში ონკანს რომ ცვლიდა, მაშინაც კამერით მიდიოდა, ბაჩო კი 6 თვე კარავში, ჯარისკაცებთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ ეს დღემდე არავინ იცის. ჩაკეტილობა ყველაზე დიდი შეცდომაა, რაზეც ჩვენმა ოჯახმა, პირველ რიგში, მე და ბაჩომ ჭკუა ვისწავლეთ. ძალიან დიდ შეცდომად ვუთვლი, რომ ხალხსა და მედიასთან არ ურთიერთობდა. დიახ, მართლაც, უმძიმესი იყო კარანტინის დაშლის კადრები და ამის გამო ვიღაცები ციხეშიც სხედან. ჩემთვისაც შოკი იყო, რაც ვნახე. ამ დროს, ბაჩოს ყველაფერ ამასთან არანაირი შეხება არ ჰქონია, მისი სახელის გასვრა, უბრალოდ, სჭირდებოდათ. 4 წელიწადზე მეტი ბაჩო იმ სისტემაში საერთოდ აღარ იყო და თავდაცვის სამინისტროში საქმიანობდა. სიმართლე ვიცი და ათასი არგუმენტის მოყვანა შემიძლია, რომ ბაჩო ჯალათი არ არის, ამიტომ მისი დაკავებიდან მეორე დღესვე გავხსენი Facebook-გვერდი, ამიტომ დავდივარ ქუჩაში თავისუფლად, დაცვის გარეშე და არც კითხვების მეშინია, არც მის მიერ „ნაწამები ხალხის“. თავიდან ბოლომდე გავიხსენი და დასამალი არაფერი მაქვს. ზუსტად ამიტომ ჩამოვიდა ბაჩო საქართველოში, რომ მისთვის ხელი არ შეეხოცათ და ამ ჭორებსა და ლეგენდებზე ეპასუხა. ის ნახევარი დღეც არ იყო თავისუფალი, მაშინვე პროკურატურაში დაიბარეს და აღარც გამოუშვიათ.

— როგორც ვიცი, 2012 წლის არჩევნების შემდეგ, კანცელარიაში, შეკრებაზე სააკაშვილი აფრთხილებდა, ქვეყნიდან გადიო, ახალაია კი შეეწინააღმდეგა. ბოლოს, დეპუტატ აკაკი მინაშვილის დახმარებით, ქვეყანა დატოვა. მაშინ რეალურად რა მოხდა?

— აკო ბაჩოს ბავშვობის მეგობარია, ძალიან ახლო ძმაკაცები არიან. მაშინ პრეზიდენტმა იმ ადამიანებს, ვისი დაჭერაც ხალხის პირდაპირი დაკვეთა იყო, მართლა უთხრა, ქვეყნიდან გადით დროებით მაინცო, ახალ ხელისუფლებას, ცხელ გულზე, ყველა ერთად, უაზროდ რომ არ დაეჭირა. ბაჩო ის ადამიანი იყო, ვინც საქართველოდან ყველაზე ბოლოს გავიდა და ზუსტად ერთ თვეში, 5 ნოემბერს, უკან დაბრუნდა. მაშინ იმასაც ამბობდნენ, ბაჩო შეიარაღებულ ბანდფორმირებებს ქმნიდა და არეულობის მოწყობას გეგმავდაო. ზუსტად იმიტომ დაბრუნდა, რომ რამე არ მომხდარიყო, მას არ დაბრალებოდა და სწორადაც მოიქცა... არჩევნების მერე, პირველ დღეებში, ქვესკნელში ჩასულმა ყველა ჭიამ თავი უცებ ამოყო — კრიმინალებმა, „კანონიერმა ქურდებმა“, ისეთებმა, ვინც ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. ბაჩო კი პირდაპირ „ქურდების“ ციხეში ჩასვეს და ამით მის სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნეს.

— რამდენი ხანია არ გინახავთ? როგორც ვიცი, როცა პირი წინასწარ პატიმრობაშია, ოჯახს ნახვის უფლება არ აქვს, ახალაია კი, პრინციპში, სულ წინასწარ პატიმრობაშია...

— დიახ, სასამართლო დარბაზის გარდა, სხვაგან ვერსად ვხედავ. ახლა, რაც 7 წელი მიუსაჯეს, მხოლოდ შუშის მიღმა, ტელეფონით საუბარი შეგვიძლია, რაზეც ორივემ უარი ვთქვით. ეს ჩვენთვისაც დიდი სტრესია და მით უმეტეს, ბავშვებისთვის. ჩემი შვილი 6 თვის იყო, როცა ბაჩო დაიჭირეს. არ მინდა, მამა პირველად შუშის მიღმა ნახოს, ეს ბავშვისთვის ძალიან დიდი ფსიქოლოგიური ტრავმა იქნება. ამიტომ იცის, რომ მამა სადღაცაა წასული და ყოველი თვითმფრინავის გადაფრესისას ჰგონია, რომ სახლში ჩამოფრინდება. სამი წლის ბავშვს როგორ ავუხსნა, რომ მამა ციხეშია, როცა ისიც არ იცის, ციხე რა არის?!

— ისე, Facebook-ზე თქვენი განცხადება ვნახე, სადაც ამბობთ, 3 წელია, პარტიისგან სრულიად დამოუკიდებლად ვიბრძვიო. ეს რას ნიშნავს — ბაჩო ახალაია საკუთარმა გუნდმა მიატოვა?

— ჩემი განცხადება იმას ნიშნავს, რომ პარტიის წევრი არ ვარ, ჩემი არასამთავრობო ორგანიზაცია მაქვს და დამოუკიდებლად ვიბრძვი. პარტიის ოფისში ნამყოფიც არ ვარ. საერთოდ, ზეპარტიული ადამიანი ვარ. მამაჩემსაც ჰქონდა პარტია და არც იქ შევსულვარ, თუმცა ნაციონალების იდეებს, გეზს ვიზიარებ. ამ ოფისშიც სახლიდან მოტანილი ნივთები მაქვს.

— იქმნება შთაბეჭდილება, რომ ახალაია, მერაბიშვილისა არ იყოს, ნაციონალების განტევების ვაცად იქცა. თქვენი ზემოხსენებული ეს განცხადებაც ფარულ გულისტკენად აღვიქვი.

— გეთანხმებით, დღეს ბაჩოს სულ უფრო ნაკლებად ახსენებენ. ჩემთვის, როგორც მეუღლისთვის, რაღაცები გულსატკენია, მაგრამ ჩვეულებრივ ამბად მიმაჩნია: ბაჩო პარტიის წევრი არ არის, უბრალოდ, ამ გუნდის მინისტრი იყო, პარტიას რამდენჯერმე, არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, პოსტიდან გადადგომის შემდეგ, სექტემბერში ესტუმრა. რეალურად, კარგად იცნობს სააკაშვილს, ასევე უგულავას, თარგამაძესა და ბოკერიას თავისუფლების ინსტიტუტიდან, აკო მისი ბავშვობის მეგობარია, ასევე მეგობრობს ხერხეულიძე-წიკლაურთან. დანარჩენები კი არც იცნობენ. ვინმესთვის არასოდეს მითხოვია, მოსულიყო აქციებზე, რომელსაც ყოველთვის ჩემი ორგანიზაციის სახელით ვატარებ და არა — პარტიის, თუმცა ზოგიერთზე პოლიტიკური ლიდერებიც არიან. მაგალითად, სამეგრელოში ნუგზარ წიკლაური და ეკა ხერხეულიძე იყვნენ. არც მქონია მოლოდინი, რომ პარტია მხარს განსაკუთრებით დამიჭერდა და არც იმას ვფიქრობ, რომ ბაჩო ახალაია გარიყეს. შეიძლება, უგულავასა და მერაბიშვილს უფრო ხშირად იმიტომ ახსენებენ, რომ ერთი, პარტიის სიით, პირდაპირი წესით არჩეული მერი იყო, მეორე კი პარტიის გენმდივანი.

— რადგან სიტყვა ვანო მერაბიშვილზე ჩამოვარდა, მიპასუხეთ, ამ 9 წლის განმავლობაში, საქმიანობის რომელიმე ეტაპზე, მერაბიშვილისა და ახალაია-კოდუების ე.წ. კლანი ერთმანეთთან დაპირისპირებულნი იყვნენ?

— ჩემი მხრიდან ამაზე საუბარი ჭორაობაა, ეს კითხვა თავად მათ უნდა დაუსვათ. ერთი შემიძლია ვთქვა: ეს გუნდი ერთად მოდიოდა და იმედი მაქვს, მომავალშიც ერთად გააგრძელებენ ქვეყნის შენებას. მგონი, ჭორი ჭორად დარჩა, რადგან გუნდს არაფერი დაკლებია და მაინც ერთად მოდიან.

— გუნდს 4 ადამიანი მოაკლდა და ითქვა, რომ ამ პროცესებს ციხიდან სწორედ ახალაია მართავს, რომელმაც, შესაძლოა, ახალი პარტია შექმნას. რა შეხება აქვს თქვენს მეუღლეს ამ პროცესებთან?

— ვფიქრობ, ამ 4 კაცის წასვლით, პარტიაში დიდი არაფერი შეცვლილა. ყოველ შემთხვევაში, ეს 4 ადამიანი იქ ისეთი სახე არ იყო, ნაციონალურ მოძრაობას ბოძი ჩამოშლოდა. პირდაპირ გეტყვით: ამ 4 ადამიანს ბაჩოსთან კავშირი არ აქვს. მათგან მხოლოდ გოგა ხაჩიძეს ვიცნობ, რომელიც აქციაზე ერთი-ორჯერ იყო, პალიკო კუბლაშვილი კი ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში გავიცანი, სხვადასხვა უწყებაში მუშაობისას, ვთანამშრომლობდით. მელაძესა და ჯაფარიძეს საერთოდ არ ვიცნობ. ეს ძალიან დიდი ჭორია — ბაჩოს არც ამ პროცესებთან აქვს შეხება და არც ახალ პარტიას ქმნის. სულ რომ უნდოდეს, ცხრაკლიტულში ჰყავთ გამოკეტილი, ყველაფერს უკონტროლებენ, თითოეულ მიმოწერასა და ამბის შემტან-გამომტანი მხოლოდ მისი ადვოკატია. ასე რომ, ყველაფერი ეს სრული აბსურდია.

— მომავალში პოლიტიკურ აქტიურობას, ალბათ, ისევ აპირებს...

— ალბათ, კი, თუმცა ეს ძალიან არ მინდა, რადგან მეუღლე და მამა პოლიტიკამ წამართვა! ბაჩო არაფრის დიდებით არ დათმობს თავის საქმეს. ვფიქრობ, გამოვა თუ არა ციხიდან, აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნდება. მართალია, ამაზე არ გვისაუბრია, მაგრამ ასე მგონია. ციხიდან კი მაშინვე გამოვა, როგორც კი ეს ხელისუფლება შეიცვლება. მანამდე ეს შეუძლებელია, რადგან პირდაპირი დავალება აქვთ, ბაჩო და სხვა ადამიანები გაანეიტრალონ. ამ დავალებებს კარასინი აბაშიძეს აწვდის. მათ ბაჩოს პირდაპირი განეიტრალება აქვთ დავალებული, რადგან საოკუპაციო საზღვართან რუსეთის დივერსიულ ჯგუფებს ანადგურებდა. კარასინი-აბაშიძე ზუსტად ამ თემებზე საუბრობენ. ასევე, არსებობდა დავალება კობა თოდუას შესახებ, რომელსაც აფხაზეთის ტერიტორიაზე უამრავი სპეცოპერცია აქვს ჩატარებული — უნდა დაეჭირათ და მართლაც, თოდუას სრულიად გაუგებარი საქმის გამო, 9 წელი მიუსაჯეს. ამაზე მეტი დასტური რა გინდათ?!

— ეს საიდან იცით?

— ძალიან ბევრი რამ ვიცი. დღემდე მომდის ინფორმაციები აფხაზეთიდან, რომელიც ჩემი ოჯახის დიდი ტკივილია. ამ პროცესებში ბავშვობიდან ვარ ჩართული. ასევე, დღემდე მაწვდიან ინფორმაციას სასამართლოდან, რადგან ამ სისტემაში ვმუშაობდი. ჩემს ყველა განცხადებაზე პასუხს ვაგებ! პირდაპირ სოციალურ ქსელში მედო „გასანეიტრალებელთა სია“, მათ შორის ბაჩოს გვარით, რომელიც რუსული საიტიდან წამოვიღე.

რატომ წავიდა და როგორ ცხოვრობს დიასპორის მინისტრი გელა დუმბაძე მონასტერში

რეპორტაჟი ვეჯინის მამათა ლავრიდან

ვანო პავლიაშვილი

...ხმა გავარდა, დიასპორის მინისტრი ერთი კვირით ვეჯინის მამათა მონასტერში წავიდაო. ზოგმა ისიც თქვა, აღარ დაბრუნდებაო... დიდი ხანი არაა, რაც გელა დუმბაძეს ვიცნობ — რამდენიმე თვის წინ, არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ „ჩავწერე“. მერე დიასპორის ფორუმზეც შევხვდი... მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ავანტიურისტული იდეა გამიჩნდა — ვეჯინში წავსულიყავი და მონასტერში სტუმრადმყოფი მინისტრი მომენახულებინა... ფოტოხელოვანი ზურა მეგრელიშვილიც ავიყოლიე და მშობლიური კახეთისკენ მიმავალ გზას ხუთშაბათს, ზუსტად იმ დროს დავადექი, როცა კანცელარიაში მთავრობის სხდომა იმართებოდა... ვეჯინი გურჯაანის რაიონია. ამაღლების მამათა ლავრა სოფლიდან შვიდი კილომეტრითაა დაშორებული. მანამდე, დედათა მონასტერია, მონასტერში 10 დედაოა. მამათა ლავრაში კი 10-15 მორჩილი და ბერი ცხოვრობს. ლავრის წინამძღვარი მამა იოანე აბასაშვილია, რომელიც, როგორც მოგვიანებით გავიგე, გელა დუმბაძემ წლების წინ საინგილოში გაიცნო... მე-12 საუკუნის მონასტრის ჭიშკართან ახალგაზრდა ბერი მეგებება. თავაზიანად ვეუბნები, ბატონი გელას ნახვა მინდა-მეთქი. მპასუხობს, მანქანით სადღაცაა გასული, დავურეკავ და ახლავე მოვაო, თუმცა ვიდრე დარეკავდა, მინისტრიც გამოჩნდა — სოფელში, სანოვაგეზე ყოფილა ჩასული... ჩემი დანახვა, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა, მაგრამ ცხადია, სტუმრობის მიზეზს მიხვდა და, ჩასვლა რომ არ დამეზარა, მადლობა გადამიხადა... მონასტრის ეზოში ლაპარაკ-ლაპარაკით შევედით. ვეჯინის მონასტერი ამ მიდამოში უპოპულარულესი ადგილია, რადგან ძალიან ბევრს ხელს უმართავს — კულტურას, სულიერებას და სიმშვიდეს აზიარებსო, — მიხსნის დიასპორის მინისტრი და დასძენს, ტრაპეზარი ვარო...

— ტრაპეზარობა თქვენი სურვილით აირჩიეთ თუ მოგანდეს?

— ჩემი სურვილიც იყო... დილაობით, 6 საათზე ვდგები და 12-15 მამაოსა და მორჩილისთვის სამ-ოთხ კერძს ვამზადებ... მამა იოანე ხუმრობს ხოლმე, ესენი ძალიან გამითამამეო.

— კერძების მომზადება საერო ცხოვრებაშიც გეხერხებათ თუ აქ ისწავლეთ?

— მეხერხება, მაგრამ ახლა უფრო დავხელოვნდი... დღეს მწვანე ლობიო მოვამზადე, გუშინ — ამოლესილი, გუშინწინ კი, ცხოვრებაში პირველად, კომბოსტოს ღვეზელი გამოვაცხვე და კარგი გამომივიდა, ბრინჯის ფლავსა და სუპსაც ვაკეთებ ხოლმე. საერთოდ, სუპი აუცილებელია...

— ბატონო გელა, რაღაცნაირად შეცვლილი მეჩვენებით, — საუბარი სხვა კალაპოტში გადამყავს.

— უარესობისკენ?

— არა...

— დავმშვიდდი... მონასტერში ამოდით, ერთი კვირა დარჩით და თქვენც შეიცვლებით...

— მონასტერში წამოსვლის გადაწყვეტილება დიასპორის კონგრესის მერე, სპონტანურად მიიღეთ?

— დიახ... ერთ კვირაში, 50 წლის ვხვდები და ჩემი ცხოვრება უნდა გავიაზრო...

— რა ვიცი, თბილისში თქვეს, გელა დუმბაძეს დეპრესია აქვსო...

— რა დეპრესია, კაცო?! შეხედეთ, აქ ხალხს როგორი ცოცხალი სახე აქვს... მე ჭეშმარიტების გზაზე მდგარი ადამიანი ვარ! 13 ივნისს 50 წლის ვხდები, განმარტოვება მინდოდა... პრემიერს ვთხოვე და კუთვნილი შვებულების მეოთხედი ავიღე...

— ესე იგი, აქ განიწმინდებით და შვებულების დარჩენილ ნაწილს იბიცაზე ან სხვა რომელიმე ეგზოტიკურ კურორტზე გაატარებთ, არა?

— თუკი ადამიანს, მით უმეტეს, თუ 50 წლის ხდება, განმარტოება და ფიქრი უნდა, იბიცაზე თუ აკაპულკოში კი არ უნდა წავიდეს, აქ უნდა ამოვიდეს, ხიბლისგან განიწმინდოს, აზრები დაიწყნაროს, დამშვიდდეს და ცხოვრება გაიაზროს... ყველაფერ ამისთვის კი ვეჯინის მონასტერი, მამა იოანეს წინამძღოლობით, მთელ საქართველოში საუკეთესოა...

— მონასტერში დიდხანს დარჩებით?

— ვინ მაცლის? შაბათს მძღოლი მომაკითხავს და წამიყვანს, ორშაბათს კი სამსახურში ვიქნები...

— ისევ „გამინისტრება“ არ გეზარებათ?

— აქედან ჩემი წამოსვლა რთულია...

— ჩვენში დარჩეს და, დღეს მთავრობის სხდომაა...

— გილოცავთ!

— მე რას მილოცავთ?.. დავიჯერო, მთავრობის სხდომის ნოსტალგია არ გაქვთ?

— არა, რადგან ჩემი ნოსტალგია ჩემმა მოადგილეებმა გადაინაწილეს...

— ბატონო გელა, ხომ გულწრფელად მელაპარაკებით?

— დიახ, გულწრფელად, რადგან მხოლოდ გულწრფელნი მიაღწევენ ჭეშმარიტებას....

— ...თქვენი გამომცხვარი ღვეზელი კიდევ გაქვთ, მინდა, დავაგემოვნო...

— მაცივარში ცომი მაქვს და ახალს გამოვაცხობ...

...ვთანხმდებით, შენობით ვილაპარაკოთ და გეზს სახელოსნოსკენ ვიღებთ. გელა დუმბაძე მამა ევაგრეს მაცნობს... სახელოსნოში შევდივართ. ეს მხოლოდ სახელოსნო კი არა, მინიქალაქია, — მეუბნება მასპინძელი და მონასტრის წესებს მაცნობს, — აქ, სხვადასხვა მიმართულებით, მაღალი ხარისხის თვითმომსახურეობაა. მორიგეობაცაა დაწესებულიო.

— სახელოსნოში თქვენც ფუსფუსებთ ხოლმე?

— მინდა, მინანქარი გავაკეთო, თუმცა ტრაპეზარობა ძალიან ბევრ დროს მოითხოვს, თან 12 საათამდე ყველაფერი უნდა მოვასწრო, რადგან 12 საათზე ზარს ვრეკავ! ადამიანისთვის უმთავრესი სულიერი სიმაღლეა და ამ თვალსაზრისით, უმცირესი ვარ... მონასტერში შემოსვლისას, ამბიცია თუ რეგალია კართან უნდა დატოვო...

— მაინცდამაინც ვეჯინის მამათა მონასტერი რატომ აირჩიეთ?

— მონასტრის წინამძღვარი, მამა იოანე აბასაშვილი დიდი ხნის წინ, საინგილოში გავიცანი: მაშინ, აზერბაიჯანში, ჩვენს საელჩოში მრჩევლად ვმსახურობდი, მამაო კი კახ-ინგილოს მონასტრის წინამძღვარი იყო და ჩვენი მეგობრობა მას შემდეგ გრძელდება.

— მონასტერში სხვა დროსაც გიცხოვრიათ?

— დავითგარეჯში სამონასტრო ცხოვრებით არ მიცხოვრია — იქ რუსებს დავდევდი, პოლიგონი რომ გაეტანათ. ამ მონასტერში კი, რვა წლის წინ, ერთი ღამე გავათიე, მაშინაც ტრაპეზარი ვიყავი... სხვათა შორის, მამაოებსა და მორჩილებს ყველაფერში ვეხმარები — ხეების გადარგვიდან დაწყებული ბაღის მოვლით დამთავრებული.

— ანუ ფიზიკურადაც მუშაობ?

— დიახ...

— პრემიერს შვებულება რომ სთხოვეთ, უმალ დაგთანხმდა?

— სამდღიანი დიასპორული ფორუმის შემდეგ, რომელშიც მთელი ენერგია ჩავდე, პრემიერს სმს მივწერე, გადავიღალე, კუთვნილი შვებულებიდან ერთი კვირა მომეცით-მეთქი და მომწერა, დაისვენეო...

— ისიც უთხარი, რომ მონასტერში მოდიოდი?

— არა, ვალდებული არ ვარ, ყველას მოვუყვე, სად მივდივარ... უბრალოდ, თათბირზე ვთქვი, მონასტერში მივდივარ-მეთქი, სულ 32 თანამშრომელი მყავს და, ალბათ, ვიღაცამ ვიღაცას უთხრა. თბილისში კი, ინფორმაცია წამში ვრცელდება...

— 50 წლის ასაკში დაფიქრებას, მაინც, რაზე აპირებ?

— ვანო, ჩვენ ხომ მეგობრები ვართ. ჰოდა, აქედან რომ დავბრუნდები, ამას მერე გეტყვი — ახლა „გადახარშვის“ პროცესია, რა გამიკეთებია...

— ამ დღეებში, დავიჯერო, ვერ მიხვდი, ყველაზე მეტად რას ნანობ?

— დაკარგულ დროს...

— მეგონა, მეტყოდი, ვინანიებ, თუკი ოდესმე ვინმესთვის მიწყენინებიაო...

— თუკი ვინმესთვის მიწყენინებია, ეს ჩემი ოფლით, სისხლით და განცდით მომინანიებია...

— მონასტერში წასვლა თვითგვემაა?

— გვემა ისაა, როცა ადამიანი იმას აკეთებს, რაც არ უნდა. მონასტერში ამოსვლა ჩემთვის ბედნიერებაა!

— ცოლმა რა გითხრა?

— რა უნდა ეთქვა? — გაგებით მოეკიდა...

სახელოსნოდან გამოვდივართ. გელა დუმბაძე ფოტოხელოვან ზურა მეგრელიშვილს სთხოვს, ერთი სურათი კეთილ მამაოებთან გადამიღეთო და მოშორებით მდგარ მორჩილს ეხუმრება, გურამ, შენც მოდი, ისტორიაში შეხვალო. მერე, დასძენს, გურამი ლომკაცია, რვა კაცის ძალა აქვსო...

სახელოსნოებიდან ხელმარჯვნივ, ხის კარს გახსნით თუ არა, მონასტრის სატრაპეზოში მოხვდებით. ეს ჩემი სამფლობელოა, — ისევ ხუმრობს მინისტრი და ლომკაც გურამს სთხოვს, გაბრიელს უთხარი, მეგობრები ნამგზავრები არიან და ჩემი ნახელავი შევთავაზოთო... ვიდრე სუფრა გაიშლება, გელა სატრაპეზოს მათვალიერებინებს. თავდაპირველად, თავს ხის დიდ საპურეს ხდის და დედაოების გამომცხვარ პურს მთავაზობს, ასეთ გემრიელ პურს თბილისში ვერ გასინჯავო. საერთოდ, ვეჯინის დედათა მონასტერში გამომცხვარი პური ამ მხარეში განთქმული ყოფილა... დედაოები მეზობლებს მხოლოდ პურს კი არა, როგორც მინისტრმა მითხრა, ნამცხვარსაც უგზავნიან და ზოგჯერ ცივ ყავაზეც ეპატიჟებიან... თუ პური დაძველდა, გელა, თურმე, პატარ-პატარა კუბიკებად ჭრის, მარილში ავლებს და, როგორც იტყვიან, ასუხარებს. სხვათა შორის, ეს „სუხარი“ დიასპორის მინისტრის მომზადებულ სუპთან ერთად მივირთვი...

სატრაპეზოს უკან საკუჭნაოა, სადაც ბერები ბოსტნეულსა და მურაბებს ინახავენ... წლებია, ვეჯინის მამათა ლავრას ბუნებრივი აირი მიეწოდება. აქ, სადაც გგონია, რომ დედამიწა ცას უერთდება, „ილიჩის ნათურაც“ ციმციმებს. წყალი კი მთიდან ღვთისმსახურთ საკუთარი ხელით გამოუყვანიათ...

საკუჭნაოდან სატრაპეზოში ვბრუნდებით... გელა დუმბაძე გაზქურასთან ფუსფუსებს... თვალს არ ვაცილებ და ვფიქრობ, რამდენიმე თვის წინ, კაბინეტში რომ ვესტუმრე და კარადაში პრემიერის თვალმოკრული სურათის გამო ლამის სისხლი გავუშრე, რას წარმოვიდგენდი, რომ მეორედ ერთმანეთს მონასტერში შევხვდებოდით-მეთქი...

— ტრაპეზარობა დანების გალესვით დავიწყე, ჩემთვის გაულესავი დანა უმელნო კალამს ჰგავს, — ***მიხსნის მინისტრი და მონასტრის ხუთშაბათის მენიუს მაცნობს,*** — ეს ჩემი რეცეპტით მომზადებული ჩაია: ორ ლიმონს, პიტნას და მწვანე ჩაის ერთად ვხარშავ და ჩვენებს ძალიან მოსწონთ... მოიცა, ჩემი ხელით მოგემსახურები, — ***მეუბნება გელა და ჩაის მომცრო ჭიქაში ასხამს. რატომღაც მეუხერხულება, ვთქვა, ჩაი არ მიყვარს-მეთქი და ჭიქას უხალისოდ ვართმევ, თუმცა ჩაის „კომპოტი" ისეთი უგემრიელესი აღმოჩნდა, ლამის დამატება მოვითხოვე... საუბარს ვაგრძელებთ.***

გელა დუმბაძე: — ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებული ვარ, მაგრამ რაღაცას წარმოვადგენ — ჩემს სიტყვასა და საქმეს ფასი აქვს... საერო ცხოვრებაში ბევრი საცდური და ხიბლია... აი, ვანო, ხომ გითხარი, რომ ძალიან კარგი ფორუმი ჩავატარე, რასაც ბევრი ქება მოყვა. ადამიანისთვის ყველაზე ცუდი ხიბლში ჩავარდნაა — ამ დროს რეალობას კარგავს. მონასტერში სწორედ იმიტომ წამოვედი, რომ რეალობას, საწყისს ისევ ვეზიარო...

— ისე, მგონი, პირველი ჩინოსანი ხარ, საერო ცხოვრებას თუნდაც ერთი კვირით რომ განერიდა და მონასტერში წავიდა...

— ჰოდა, ეს ჩემი კოლეგებისთვის მესიჯი უნდა იყოს!

— საერო ცხოვრებაზე უარის თქმას საერთოდ ხომ არ აპირებ?

— არა! წლებია, ბევრ სახელოვან მამაოსთან ვმეგობრობ და ეს საკითხი დამიყენებია, თუმცა უთქვამთ, გელა, შენი ადგილი საერო ცხოვრებაშია, იქ უფრო გვჭირდებიო.

— საერო ცხოვრებიდან ყველაზე მეტად რა გენატრება?

— ვანო, შენი პლუსი იცი, რა არის? — ისეთ კითხვებს სვამ, რომ მოდუნების საშუალებას არ მაძლევ... ჩემი შვილიშვილი ნიკოლოზი და ქალიშვილი სალომე, მათთან ლაპარაკი მენატრება, მაგრამ ნოსტალგიაში არ ვარ ჩავარდნილი. აქ იმის მისაღებად ვარ, რაც საერო ცხოვრებაში არაა — ეს სულის სიმშვიდეა! აქ ფიქრების განწმენდა ხდება...

— მაშასადამე, ყველა ავი ფიქრი, ვთქვათ, მერკანტილური თუ ინტიმური, რაც ოდესმე გქონია, აქ უარყავი?

— კაცნი ვართ და ყველა ფიქრი ილექება, თუმცა გრძნობ, აქ ასეთი ფიქრების ადგილი არაა ანუ ფიქრების თვითრეგულაცია ხდება. აქ ღმერთთან მიახლოებაზე ხარ კონცენტრირებული...

— როგორია აქედან დანახული საერო ცხოვრება?

— ამაზე არ მიფიქრია... შემეცნების მწვერვალისკენ მიმავალი გზა რთულია, თუმცა ის უფრო რთულია, რაც იქ შეიმეცნე, შენიანებს გაუზიარო... მონასტერში დასარჩენად მზად არ ვარ

— დაუმთავრებელი საქმეები მაქვს, თორემ ხელისუფლებისკენ სწრაფვის საყმაწვილო სენი დიდი ხანია ჩემში აღარაა!

— ...ლოცვებს ესწრები?

— წირვა მხოლოდ შაბათ-კვირას ტარდება. სხვა დღეებში კი ლოცვა ინდივიდუალურია — განმარტოებით ხარ და ლოცულობ... პირველ დღეს, სამი საათი ფეხზე დგომა გამიჭირდა, მეორე დღეს კი — აღარ და გამიკვირდა. ისე, ბავშვობიდან ათამდე ლოცვა ზეპირად ვიცი... წმინდანის განსაკუთრებულ ხატს არ შევქმნი და გულწრფელად გეტყვი — ტაძარში დილით შევდივარ... მთავარი ლოცვის რაოდენობა და ხანგრძლივობა კი არა, ამ დროს უფალთან კავშირის კონცენტრაციაა, რაც ძნელია — ფიქრებს მიყავხარ.

— არ გაინტერესებს, თბილისში დაბრუნებულს, კოლეგები როგორ შეგხვდებიან, რას გეტყვიან?

— წელან ჩემმა მოადგილემ დამირეკა და მითხრა, მთავრობის სხდომაზე ბევრმა მოგიკითხაო. გამიხარდა — კიდევ ვახსოვარ (იცინის)!

— გელა, მგონია, რომ მინისტრობამ დაგღალა... შენს ერთ კოლეგას ოჯახი მოენატრა და ამიტომ გადადგა, შენ კი წასვლის ალბათ ეს ფორმა მოძებნე...

— ეს ჩემი გზაა. არავის განვიკითხავ, ყველამ თავის გზა უნდა მონახოს... ეს ჩემი ნავსაყუდელია... ვეჯინს ჩემს სახლს ვეძახი და ყველამ — მეუღლემ, შვილმა თუ მეგობარმა იცის, რომ ეს არის ადგილი, სადაც მელიან!

— ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ვთქვათ, გუბერნატორმა არ მოგინახულა?

— გუბერნატორს თავის საქმე აქვს...

სატრაპეზოს ვტოვებთ... ივნისის მზე შუბზეა ასული... რამდენიმესაფეხურიან კიბეს აუყევით... გელა კარს ხსნის... კელია პატარაა, ძალიან პატარა — ფიცრის საწოლი და მაგიდა დგას. ერთ კედელზე ფიცრისავე კარადა კიდია... აქაურობა ხატებითაა სავსე... გელა დუმბაძე ღვთისმშობლის ხატს მაჩვენებს, მამა ზენონმა მაჩუქაო... კელიაში, როგორც წესი, ორი ბერი, მორჩილი ან სტუმარი ცხოვრობს, თუმცა დიასპორის მინისტრი მარტოა — ბერი, რომელიც ამ კელიაში ცხოვრობს, სტუმრად სხვა მონასტერში წასულა... კელიის სარკმელთან „ლეპტოპი" დევს. მიკვირს... გელა ისევ მიხსნის, კომპიუტერი მათხოვეს, რომ „მეილი" შევამოწმო ხოლმეო...

— მონასტერში ინტერნეტიცაა?

— დიახ, WI-FI, ყველაფერი თანამედროვეა...

— ესე იგი, საერო ცხოვრებასთან კავშირი მთლიანად არ გაგიწყვეტია?!

— (იცინის) არ მასვენებენ, რა!

...ჩვენი ცხოვრება ძალიან პროზაული გახდა და რაღაცნაირად უნდა გავახალისოთ. ახალგაზრდა თაობა გვიყურებს და ფიქრობს, მთელი წელი ვშრომობ და მინდა, დავისვენო, განვმარტოვდე და აზრები დავალაგო. საამისოდ კი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება სწორედ მონასტერში ამოსვლაა.

კელიას ვტოვებთ... გელა დუმბაძე მპირდება, რომ ლოცვებში მომიხსენიებს... მამა ზენონი ტაძრისკენ მიგვიძღვება, თუმცა მანამდე საოქრომჭედლოში შევდივართ. მამა ზენონი ახალგაზრდა ინგილო ბერია, აქ ძმას ჩამოუყვანია... ხელობა უსწავლია — საეკლესიო ნივთებსა და სამკაულებს ამზადებს... მონასტრის მთავარი შემოსავლის წყარო, შემოწირულობასთან ერთად, სწორედ ამ ნივთების გაყიდვაა... სხვათა შორის, დიასპორის მინისტრს ბერებმა და მორჩილებმა ხმალი გამოუჭედეს — „ვეჯინის მახვილი", ზედ „გელა დუმბაძე" აწერია... ისე, მამა ზენონმა რომ გაიგო, რამდენიმე დღის წინ, დაბადების დღე მქონდა, საჩუქარი მეც „გამიკეთა" — გაბრიელ ბერის ხატი მისახსოვრა. გელამ, მონასტერში, ბერის მიერ ნაჩუქარ ხატს სხვა მადლიო აქვსო...

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: რამდენიმე წლის წინ, გელა დუმბაძის შვილმა, მამის თხოვნით, ჯვარი სწორედ ვეჯინის აღდგომის სახელობის ტაძარში ანუ, როგორც მინისტრი ამბობს, ღმერთთან ახლოს დაიწერა. აღდგომის ტაძრიდან არცთუ შორს ამაღლების სახელობის მოქმედი ტაძარია. მალე კი ღვთისმშობლის ტაძარიც ამოქმედდება...

ვეჯინის მამათა ლავრის მიმდებარე ტერიტორია ადრე ჯონ მალხაზ შალიკაშვილის წინაპართა სამოსახლო ყოფილა. გალავნის ნარჩენები დღემდეა შემორჩენილი. მოშორებით ციხე-სიმაგრეა, რომელზეც იმ საღამოს, მე რომ ვსტუმრობდი, გელა დუმბაძეს საქართველოს დროშა უნდა აღემართა... ლავრასთან შალიკაშვილების საგვარეულო სასაფლაოა...

სატრაპეზოში ვბრუნდებით... ბერებს სუფრა გაუშლიათ — დიასპორის მინისტრის ხელით მომზადებული სუპი, ლობიო, კიტრი, დედების გამომცხვარი პური, შემწვარი მაკარონი... მონასტრის წესებს შეეგუა? — ვეკითხები მამა ზენონს. კი, ყველაფერსო, — მპასუხობს.

— გელა, მამა იოანე რომ არა, მონასტერში მაინც ამოხვიდოდი?

— არა. მამა იოანე ჩემთვის იმ სულიერების ნაწილია, რომელთანაც მოვედი, უფრო სწორად, კი არ მოვედი, დავბრუნდი. ისე, სიმბოლურია, რომ მამა იოანეს, როგორც გითხარი, საინგილოში დავუმეგობრდი...

— მონასტერში ყველაზე ემოციური, ალბათ, პირველი ღამე იქნებოდა...

— არა, დისკომფორტი კი არა, ისეთი განცდა მქონდა, თითქოს დაღლილი სახლში დავბრუნდი...

ვანო, იცი, რა მიხარია? — აქ ძალიან ბევრი გავიგე და ბევრი მადლიანი ადამიანი გავიცანი. ყველა მათგანს თავისი ისტორია აქვს. სხვათა შორის, მეგობრების უმეტესობა შემთხვევით — მეტროში ან ქუჩაში მყავს გაცნობილი და ურთიერთობას, რა თქმა უნდა, ამ ხალხთანაც გავაგრძელებ...

ტრაპეზს რომ მოვრჩით, დედათა მონასტერში წავედით. მამა იოანე იქ დაგხვდა, ავტომანქანა გაფუჭდა, მაგრამ თბილისში წასვლა აღარ მოგვიწია, შევაკეთეთო... სხვათა შორის, დიასპრის მინისტრი მონასტერში მამა იოანეს მანქანით ასულა — ესეც, ალბათ, სიმბოლურია...

— ...გელა, მტრები გყავს?

— ო, ეს ძალიან დიდი თემაა. ვისურვებდი, ღირსეული მტრები მყავდეს! ისე, ადამიანის მტერი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავია. კარგია, თუკი საკუთარ თავთან ზავი გაქვს მიღწეული და თვითკრიტიკული ხარ.

— ოდესმე გიგრძნია, რომ ეშმაკი გებრძვის?

— ამას ყოველდღე ვგრძნობ.

— მონასტერშიც?

— დიახ. ეშმაკი არსად მიდის. როცა ადამიანმა თხოვნით შეაწუხა, ღმერთი ყველაზე მისაწვდომ ადგილას — ადამიანის გულში დაიმალა. გულში ღმერთის აღმოჩენა ცხოვრების მთელი ფილოსოფიაა და ვინც ამას შეძლებს, ბედნიერი იქნება!

— იცი, გულში ღმერთი როგორ უნდა აღმოაჩინო?

— აქ ამიტომაც ვარ.

— მაშასადამე, ბედნიერი ხარ?

— უაღრესად ბედნიერი ადამიანი ვარ — ცხოვრებისეული რუტინით, შეძლება, ოდნავ შეწუხებული ვარ, მაგრამ ბედნიერებისთვის ყველაფერი მაქვს. როცა მეგობრები მეკითხებიან, ბედნიერები როდის ვიქნებითო, ვპასუხობ, ჩვენ უკვე ბედნიერები ვართ-მეთქი. ვწუხვარ, რომ გაერო-ს ბედნიერების ინდექსში საქართველო ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა, ჩვენზე წინ კი აფრიკული ქვეყნები არიან, სადაც წყალიც ენატრებათ.

— ჩვენ ღიმილი გვენატრება!

— თანამშრომლებს ვეუბნები ხოლმე, გაიღიმეთ-მეთქი. ღიმილის გარეშე არაფერი კეთდება! ჩვენი დისკომფორტისა და უბედურების მთავარი მიზეზი არასწორი მოლოდინია. მოდი, რა, ვიმუშაოთ. ხედავ, მამაო როგორ გვემსახურება — უხარია, რომ ჩვენ, გზასაცდენილი კრავები ცოტა გაგვათბო და ღიმილი გაგვიზიარა. ეს ბედნიერებისთვის საკმარისი არაა?! რა, ბედნიერება ბევრი ფული და ძალაუფლებაა? ბედნიერება ჰარმონიაა, რომელიც ადამიანის გულში არის ან არა.

— ...მარიხუანა მოგიწევია?

— დაახლოებით, 14 წლის წინ, ორჯერ მოვწიე — რეგიონში ვიყავი, მკითხეს, გასინჯული გაქვს თუ არაო. არა-მეთქი, შემომთავაზეს, მოწიეო. მივუგე, ჩემზე ტყუილად ნუ გააფუჭებთ-მეთქი და მოწევა რომ დავიწყე, მიხვდნენ, ვაფუჭებდი.

— როცა ვინმეზე გაბრაზებულხარ, სიტყვის მასალად თუ გითქვამს, მოვკლავო?

— 18 წლის რომ გავხდი, საბჭოთა ჯარში წამიყვანეს და გორის სერჟანტების სკოლაში ანუ „უჩებკაში" აღმოვჩნდი, რომელიც საშინელი ნაწილი იყო — ბიჭები საწოლის ქვეშ ისხდნენ და სიმწრისგან ტიროდნენ. ორი კვირის შემდეგ, ერთი ბიჭი ხელში ჩამაკვდა — არბენინეს და გული გაუსკდა. წყალს არ გვასმევდნენ... ერთხელ, შუაღამისას, სერჟანტმა აგვყარა. ასი კაცი ვდგავართ. აგვიარ-ჩაგვიარა და მითხრა, გამოდიო. ერთი ნაბიჯით წინ გავედი და სახით რაზმისკენ დავდექი. „ვოტ ეტატ ჩელოვეკ სპასობენ უბიტ ჩელოვეკა!" — გამოაცხადა სერჟანტმა. არადა, დაძაბული სახე არ მქონდა, თუმცა აგრესია ყველა ადამიანშია ჩაბუდებული!.. გმირიც ყველაშია. ვანო, გახსოვს, „უძინართა მზეში" გელა ექიმი რომ ამბობს, ისეთი ადამიანი არ არსებობს, სიყვარულის თუ არა, სიბრალულის ღირსი მაინც რომ არ იყოსო...

მე და გელა დუმბაძემ ლამის ორი საათი ვილაპარაკეთ, რას აღარ გადავწვდით, მათ შორის, კეთილ სამარიტელსაც. ბოლოს, მითხრა, ახლა იმ სპორტსმენს ვგავარ, რომელიც მოწოდების სიმაღლეზე და ზენიტშია! აქედან უფრო მეტი ენერგიით დავბრუნდები, უფრო ძლიერი და პრინციპული ვიქნებიო...

ღმერთის წყალობა ვუსურვე და გამოვემშვიდობე...

იქიდან, სადაც მიწა და ცა ერთმანეთს უერთდება ანუ როგორც გელა დუმბაძე ამბობს, ღმერთის სახლიდან არამიწიერი სიმშვიდე თბილისამდე გამომყვა... ჩვენებური მეგაპოლისი ჩვეული ხმაურით შემომეგება... ეს ხმაური 8 ივნისს გელა დუმბაძესაც „შთანთქავს" — დიასპორის სახელმწიფო მინისტრი, ერთკვირიანი მონასტრული ცხოვრების შემდეგ, დღეს სამსახურში ბრუნდება...

მთის მოსახლეობა მოგებისა და ქონების გადასახადისგან თავისუფლდება

ხელისუფლება, მთის გასაძლიერებლად, სპეციალურ კანონს ამზადებს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რამდენიმე დღეში, საკანონმდებლო ორგანოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ განსახილველად გადაეგზავნება. პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ხელისუფლება ვალდებულია, სასწრაფოდ დაიწყოს სპეციალური ღონისძიებები მთის გასაძლიერებლად. მისივე თქმით, კანონპროექტის მიხედვით, მაღალმთიან რეგიონებში მუდმივად მცხოვრები ადამიანებისთვის სოციალური შეღავათებისა და ეკონომიკური საქმიანობის წახალისების სისტემის შექმნაა გათვალისწინებული. კანონპროექტი დემოგრაფიული მდგომარეობის გაჯანსაღებასაც შეუწყობს ხელს — მთაში მცხოვრები მოსახლეობა, ყოველ შვილზე, ერთი წლის განმავლობაში, 100-ლარიან დახმარებას მიღებს. წყვილებს კი, რომლებიც ოჯახს შექმნიან, სახელმწიფო 10 000 ლარით დააფინანსებს. „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონპროექტის აღსრულება ხელისუფლებას 60 მილიონ ლარამდე დაუჯდება. მთის კანონის შექმნა და მოსახლეობის მთაში დაბრუნება, კოალიცია „ქართული ოცნების“, კონკრეტულად კი, ბიძინა ივანიშვილის წინასაარჩევნო დაპირება იყო, თუმცა აღსანიშნავია, რომ 90-იანი წლების ბოლოს, მაშინდელმა პარლამენტმა მთის კანონი მიიღო და გარკვეული მუხლები მუშაობდა კიდეც, თუმცა ნაციონალებმა, ხელისუფლებაში მოვიდნენ თუ არა, ეს კანონი შეაჩერეს.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლით, მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი კანონის საფუძველზე, სხვადასხვა სახის შეღავათია განსაზღვრული. შესაბამისად, კანონპროექტი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ მთაში მცხოვრებთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების აღსრულებას ემსახურება. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ენიჭება ზღვის დონიდან 1 500 მეტრზე მაღლა მდებარე დასახლებასა.

მაღალმთიანი დასახლების სტატუსი შეიძლება, მიენიჭოს ზღვის დონიდან 800-1 500 მეტრამდე სიმაღლეზე მდებარე დასახლებასაც, რომელშიც რელიეფის 35%-ზე მაღალი დამრეცობის გამო, გართულებულია სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავება მექანიზაციის საშუალებით და აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ კრიტერიუმს: მოსახლეობის რიცხოვნობა 2002 წლის აღწერის მონაცემებთან შედარებით, 20%-ით შემცირდა; მოსახლეობის საშუალო ასაკი 40 წელზე მეტია; დასახლებიდან უახლოეს ადმინისტრაციულ ცენტრასა და ქალაქამდე მანძილი, უმოკლესი საავტომობილო გზით, 15 კილომეტრზე მეტია.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებია საქართველოს მოქალაქეობა; მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრაცია; ყოველ კალენდარულ წელს, მაღალმთიან დასახლებაში 9 თვე უწყვეტად ცხოვრება.

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პირებისთვის სახელმწიფო შემდეგ შეღავათებს ითვალისწინებს: **საპენსიო ასაკს მიღწეული პირებისათვის ყოველთვიურად საპენსიო დანამატის — 50 ლარის გაცემას იმ შემთხვევაში, თუ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსის მქონე პირს მაღალმთიან დასახლებაში 10 წელი მაინც უცხოვრია და საპენსიო ასაკის მიღწევის დღემდე, ბოლო 5 წელი ცხოვრობდა მაღალმთიან დასახლებაში; საარსებოს შემწეობის ორმაგი ოდენობით გაცემას ოჯახის იმ წევრზე, რომელსაც მინიჭებული აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსი და არის 65 წელს მიღწეული ან მეტი; შვილობილად აყვანის (მინდობით აღზრდის) ანაზღაურების ორმაგი ოდენობით გაცემა; სამედიცინო პერსონალისათვის ყოველთვიური დანამატის გაცემას სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი შრომის ანაზღაურების 50%-ის ოდენობით; მაღალმთიან დასახლებაში თითოეული ოჯახისათვის ყოველი წლის 15 ოქტომბრიდან მომდევნო წლის 15 მაისამდე მოხმარებული 700 კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდას; მაღალმთიან დასახლებაში ოჯახისათვის ყოველთვიურად 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურის გადახდას. ერთი თვის განმავლობაში, 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის გახარჯვის შეუძლებლობის შემთხვევაში, დარჩენილი ელექტროენერგიის ოდენობა არ ემატება მომდევნო თვის 100 კვტ.სთ-ს; იმ მაღალმთიანი დასახლებებისთვის, რომლებსაც არ მიეწოდება ბუნებრივი გაზი, საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს სახელმწიფო პროგრამას, ყოველი წლის 15 ოქტომბრიდან მომდევნო წლის 15 მაისამდე მაღალმთიან დასახლებებში ოჯახების, გათბობის ალტერნატიული საშუალებებით უზრუნველყოფის მიზნით; შვილის შეძენისათვის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების 100 ლარის გაცემას ერთი წლის განმავლობაში; მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრების სტატუსის მქონე მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფას, თუ მათი საცხოვრებელი ადგილიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამდე მანძილი 1.5 კმ, ან მეტია; მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე მოსწავლეზე სახელმწიფოს მიერ დადგენილი ვაუჩერის ორმაგი ოდენობით გაცემას, რომლიდანაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს თითოეულ მასწავლებელზე ყოველთვიური დანამატის გაცემა შრომის ანაზღაურების 50%-ის ოდენობით.**

ამავე კანონპროექტით, მაღალმთიან დასახლებაში რეგისტრირებული და ფაქტობრივად მდებარე საწარმოებისთვის, ასევე მუდმივი სტატუსის მქონე ფიზიკური პირებისთვის სახელმწიფო სხვადასხვა საგადასახადო შეღავათებს აწესებს: **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირების მიერ, ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრისაგან იმ შემთხვევაში, თუ მათი ყოველთვიური ხელფასი არ აღემატება 1 000 ლარს. იმ შემთხვევაში კი, თუ ხელფასი 1 000 ლარს აღემატება, მხოლოდ 1 000 ლარს ზემოთ მიღებული ნამეტი დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადით; მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე ფიზიკური პირები თავისუფლდებიან ქონების გადასახადისაგან.**

მაღალმთიან დასახლებაში, ამ კანონის ამოქმედების შემდეგ რეგისტრირებული და ფაქტობრივად მოქმედი საწარმო, საქმიანობის დაწყებიდან 5 წლის განმავლობაში, თავისუფლდება მოგებისა და ქონების გადასახადისგან; მაღალმთიან დასახლებაში, კანონის ამოქმედების შემდეგ, რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური პირი, საქმიანობის დაწყებიდან 5 წლის განმავლობაში, თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან.

მაღალმთიან დასახლებაში სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვის ღონისძიებების გატარებას ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა დასაცავად. მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე დასახლებაში, აკრძალულია მშენებლობის ნებართვის გაცემა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) გარეშე.

მაღალმთიანი დასახლებების განვითარებისა და მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა შეღავათების ანაზღაურების მიზნით, ფულადი სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონში, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციაში, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების დაფინანსების ფონდი განისაზღვრება. საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, ამ ფონდიდან თანხებს ფინანსთა სამინისტრო გამოყოფს. თუ ფონდიდან გამოსაყოფი თანხა არ აღემატება 100 000 ლარს, საბჭოს წარდგენით, საქართველოს მთავრობა თანხის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს.

იმ შეღავათების გარდა, რაც „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ კანონპროექტშია განერილი, მთის მოსახლეობისთვის ბევრი რამ კეთდება, მათ შორის, ინფრასტრუქტურული პროექტები. „ვერსიის“ მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო უკვე ამზადებს იმ პროექტების სრულ ჩამონათვალს, რომლებიც მაღალმთიან დასახლებაში ხორციელდება. სამინისტროს ინფორმაციით, უკვე დამტკიცებულია და მალე დაიწყება როშკა-არხოტის გზის პროექტი, დართლოს რეაბილიტაციის პროექტი კი ამჟამად მიმდინარეობს.

როგორი პრინციპით ჩატარდება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები

რა გააუმჯობესა „ოცნებამ“ საარჩევნო სისტემაში

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ცვლილება ცვლილებისთვის — შეიძლება, ასე შეფასდეს ის გადაწყვეტილება, რომელიც მმართველმა კოალიციამ საარჩევნო საკითხზე მიიღო. „ოცნებას“ დრო გაჰყავდა და ოპტიმალურ ვარიანტს ეძებდა, კოდექსი ისე როგორ შეეცვალა, არსებული სისტემის წყალობით, წინასწარგანაღდებული რამდენიმე ათეული მანდატი არ დაეკარგა! „ოქროს შუალედი“, მეტნაკლებად, ნაპოვნია — 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები კვლავ შერეული ანუ პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით ჩატარდება, თუმცა ამომრჩევლის ხმის თანაბარობის მისაღწევად, მაჟორიტარულ ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობა გათანაბრდება. ამისთვის ხელისუფლებას, უფრო სწორად, ცესკო-ს პატარა საარჩევნო ოლქების შეერთება და დიდი ოლქების დაყოფა, მაჟორიტარობის კანდიდატს კი, მანდატის დასაპატრონებლად, 50%-იანი ბარიერის დაძლევა მოუწევს.

ამის თაობაზე პრემიერმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ფრაქცია „ოცნებისა“ და უმრავლესობის სხდომის მერე, რომელსაც ნომერპირველი „მოქალაქე“ ბიძინა ივანიშვილიც ესწრებოდა, ერთობლივად გვამცნეს, თუმცა კოალიციის ლიდერებმა არც მომავლის იმედი წაგვართვეს და დაგვპირდნენ, რომ შეცვლილი კანონმდებლობით ანუ მაჟორიტარული სისტემის გარეშე, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება. ლიდერები იმასაც დაგვპირდნენ, რომ მალე საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ჯგუფი შეიქმნება, რომელიც მაჟორიტარულ ოლქებში ხმათა გათანაბრებას უზრუნველყოფს. ზემოხსენებულ გადაწყვეტილებებს კონსტიტუციის ცვლილება, შესაბამისად, პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება და ნაციონალების ხმები არ სჭირდება. ორგანულ კანონში, სადაც წერია, რომ თბილისს 10 მაჟორიტარი უნდა ჰყავდეს, ერთი პატარა ჩანაწერია შესაცვლელი. მოკლედ, ეს ის აუცილებელი მინიმუმია, რითიც „ოცნებამ“ უპრეცედენტოდ გაერთიანებულ საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციას, ოპონირების რეჟიმში ჩამდგარ პრეზიდენტს, არასამთავრობო, საერთაშორისო სექტორსა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უპასუხა. რას მოიტანს ეს ცვლილებები რეალურად:

დასასრული მე-7 გვერდზე

რა კავშირი აქვს სააკაშვილის უკრაინულ აქტიურობას პოლიტიკოსთა სერიულ თვითმკვლელობებთან

რას უყვებიან ოდესელები „ვერსიას“

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და ოდესის ამჟამინდელი გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი რამდენიმე დღის წინ პროკურატურის წარმომადგენლებს შეხვდა. ძალოვნებმა, წვევამდელებისგან ქრთამის აღების გამო, ოდესის ოლქის სამხედრო კომისრისა და მისი თანამოაზრეების დაკავების შესახებ ამცნეს. ამ შეხვედრის ამსახველი ვიდეო ოდესის გუბერნატორმა აცებოოკ-ის საკუთარი გვერდზე გაავრცელა. „ჩვენი ბიჭები იბრძვიან და სისხლს ღვრიან. ის ადამიანები კი, ვინც პირველებმა უნდა დაიცვან სამხედრო ღირსება, ყიდიან ქვეყანას და სინდისს. ქვეყნისთვის, რომლის ყოფნა-არყოფნის ბედიც ახლა წყდება, ჩვენი შვილებისთვის და ჩვენი საერთო საქმისთვის ასეთი ადამიანები საფრთხის შემცველია“, — განაცხადა სააკაშვილმა.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ოდესის გუბერნატორად დანიშვნას ადგილობრივების დიდი ნაწილი იმედით უყურებს, თუმცა საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ბოლო რამდენიმე წელია საქართველოში მიმდინარე პროცესებს თვალს ადევნებდა და მიშასეული მომავლისა და „საერთო საქმის“ შესახებ ინფორმირებულია, სააკაშვილის თანამდებობაზე დანიშვნით აღფრთოვანებული არაა. შესაბამისად, არც კორუფციასთან ბრძოლის მისეულ გეგმას იზიარებს. „ვერსია“ ოდესელებს სოციალური ქსელით გაესაუბრა.

დიმა ტიმჩუკი ოდესის გუბერნატორად სააკაშვილის დანიშვნას მიესალმება და ამბობს, რომ კორუფციასთან ბრძოლის გააქტიურება კარგია, თუმცა მიიჩნევს, რომ პოლიტიკური რეჟიმის გამკაცრების პარალელურად, აუცილებლად უნდა მოხდეს საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და რაც მთავარია, რეგიონში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. **„ოდესაში ისევე, როგორც უკრაინის სხვა ქალაქებში ქრთამის აღება ტრადიციაა. პრობლემა ის არის, რომ უკრაინელების უმეტესობა ამას დანაშაულად აღარ აღიქვამს. ქრთამს იღებენ ყველგან — აეროპორტში, სკოლაში, უნივერსიტეტში, საავადმყოფოში, პოლიციასა და, რა თქმა უნდა, ჯარშიც, ეს ცუდია და აუცილებლად უნდა აღიკვეთოს, მაგრამ არა — პოლიციური რეჟიმის შიშით, არამედ, სწორი გარემოს შექმნის ალტერნატივით“,** — ამბობს ტიმჩუკი.

იგორ რიბაკი რაიონული ადმინისტრაციის თანამშრომელია. აცხადებს, რომ ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, მისთვის არაფერი შეცვლილა. აღმოსავლეთ უკრაინაში ომისა და არასტაბილური ვითარების გამო, ფასები ყველაფერზე გაიზარდა, ხელფასი კი იგივე დარჩა — 5 ათასი გრივნა. მისი აზრით, სააკაშვილის გუნდის მიერ დაწყებული რეფორმები მხოლოდ თვალის ახვევაა. **„ომისგან დაუძლურებულ ქვეყანას პოლიციური რეჟიმი ვერ გააძლიერებს. ქვეყნის გაძლიერების ერთადერთი გამოსავალი სტაბილურობის შენარჩუნება და ეკონომიური ვითარების გაუმჯობესება იქნება. ის, რასაც ველით, ხელფასების გაზრდაა. ამ ეტაპზე ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, სხვა დანარჩენი ამის ლოგიკური გაგრძელება იქნება. პირველ რიგში, საჭიროა, ჯანსაღი ნიადაგი შეიქმნას და ხალხს არ ჰქონდეს საჭიროება, კანონი დაარღვიოს“,** — ამბობს რიბაკი.

სააკაშვილის გუბერნატორად დანიშვნა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, დიმიტრი მედვედევმა „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე მუსიკალურ კინოკომედიად — „შაპიტო შოუდ“ შეაფასა. **„შაპიტო შოუ გრძელდება, უბედური უკრაინა“,** — დაწერა მედვედევმა. რუსული მედია კი აქტიურად იუწყება იმ მოვლენებზე, რომლებიც უკრაინაში სააკაშვილის გუნდის მოსვლის შემდეგ დაიწყო. რუსი პოლიტოლოგები აცხადებენ, რომ ახალი გუნდის მიერ პოლიციური რეჟიმის გაძლიერება რეალურად კორუფციასთან ბრძოლის კი არა, იმის მანიშნებელია, რომ ახალი ანტიკორუფციული გეგმა ნამდვილად ეფექტურია და ფურორის მოხდენა შეუძლია.

აღსანიშნავია, რომ რუსული პრესა იმ თვითმკვლელობებზეც წერს, რომელიც უკრაინის ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ „რეგიონების პარტიაში“ განვითარდა.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისა და მისი გუნდის წევრების უკრაინის პოლიტიკურ ასპარეზზე გააქტიურებას უკრაინაში თავიდანვე უარყოფითად აფასებდნენ და ამბობდნენ, რომ მათი ქვეყნისთვის სააკაშვილის პოლიტიკური მოღვაწეობა ძალიან ცუდად დამთავრდებოდა. **„ეს ადამიანები ყველაზე ბინძურ სცენარებს ქმნიან და ამისთვის ამორალურ პროვოკაციებსაც კი იყენებენ, ზოგიერთ შემთხვევაში, მკვლელობებსაც. სააკაშვილმა ნახევარი საქართველო დაკარგა და ახლა ჭკუის სასწავლებლად უკრაინაში ჩამოდის. თუ მოვუსმენთ, მაშინ ჩვენც ნახევარ უკრაინას დავკარგავთ“,** — აცხადებდა მაშინ რეგიონების პარტიის ერთ-ერთი წევრი მიხეილ ჩეჩეტოვი, რომელიც სააკაშვილის ოდესის გუბერნატორად დანიშვნას ვერ მოესწრო — რადას ყოფილმა დეპუტატმა და პრეზიდენტის მრჩეველმა, 61 წლის მიხეილ ჩეჩეტოვმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

„ცხოვრების გასაგრძელებელი მორალური ძალა აღარ გამაჩნია. მე მივდივარ და ვფიქრობ, რომ ასე ყველასთვის უმჯობესი იქნება. მადლობას გიხდით მხარდაჭერისთვის“, — ნათქვამი იყო ჩეჩეტოვის მიერ დატოვებულ უკანასკნელ წერილში. ამბობენ, რომ ჩეჩეტოვი საკუთარი ოთახის ფანჯრიდან გადმოხტა, თუმცა როგორ და რა მიზეზით გადაწყვიტა თვითმკვლელობა, ამ დრომდე უცნობია. მისი გარდაცვალების შემდეგ, „რეგიონების პარტიამ“ სრული პასუხისმგებლობა ახალ მთავრობას დააკისრა.

„ჩეჩეტოვის სიკვდილი, ასობით ათასი უკრაინელის სიკვდილის მსგავსად, ახლანდელი მთავრობის გაუაზრებელი პოლიტიკის შედეგია. ჩეჩეტოვი სწორედ ის მსხვერპლი იყო, რომელიც ჩვენს მთავრობას სჭირდებოდა. ჩვენ ვაფრთხილებთ საზოგადოებას, რომ დიდი ალბათობით, ეს მსხვერპლი ახალი რეჟიმის უკანასკნელი მსხვერპლი არ იქნება. ეს არის მთავრობა, რომელიც დემოკრატიის ლოზუნგებით მოვიდა და უკანონობას სჩადის. ისინი ცხვრის ტყავში შემოსილი მგლები არიან. პოლიტიკური შოუ, სახელად „სასამართლო გარჩევა“ ჩეჩეტოვს სიკვდილის ფასად დაუჯდა“, — ნათქვამი იყო პარტიის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებაში.

უკრაინელ დეპუტატ მიხეილ ჩეჩეტოვს კორუფციასა და უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებდნენ, თუმცა საზოგადოების დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ მისი სახით უკრაინის ახალ მთავრობას „განტვების ვაცი“ დასჭირდა, რადგან ახალი რეფორმებისა და ანტიკორუფციული გეგმის ეფექტურობა დაემტკიცებინა. პრინციპში ახალი რეფორმატორების ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე, მართლაც, რეგიონების პარტია იყო. სწორედ ამ პარტიის წევრი გახლდათ უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩიც. ჩეჩეტოვის დაღუპვით თვითმკვლელობების სერია არ დასრულებულა. თითქმის ერთ თვეში რეგიონების პარტიის კიდევ ერთი წევრი, სტანისლავ მელნიკი დაიღუპა. მალევე გარდაიცვალა პარტიის მესამე წევრი ალექსანდრე პეკლუშენკო, რომელსაც ზაპოროჟიეში ე.წ. ევრომაიდნის დარბევაში ადანაშაულებდნენ. მისი დაღუპვის შემდეგ, პარტიამ სრული პასუხისმგებლობა ახალ მთავრობას დააკისრა.

რამდენიმე დღის წინ, ოდესის ახალმა გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა უკრაინულ მედიასთან გეგმებზე ისაუბრა. როგორც აღმოჩნდა ახალი რეფორმების გატარებას სააკაშვილი კადრების გადახალისებით იწყებს. ამ ეტაპზე მის რაიონულ ადმინისტრაციაში 24 ვაკანტური ადგილია. ამბობს, რომ „ნიჭიერ, მოტივირებულ და ამბიციურ ახალგაზრდებს ეძებს“. მოხდება თუ არა ახალი კადრების დანიშვნა ძველი, 40 წელს გადაცილებული კადრების ხარჯზე, ჯერჯერობით უცნობია. „მე-5 არხთან“ ინტერვიუში, ჟურნალისტის კითხვაზე, თუ როგორ აპირებს რეფორმების განსახორციელებლად თანხების მოზიდვას, სააკაშვილმა განმარტა, რა თქმა უნდა, კორუფციის აღმოფხვრის ხარჯზეო. **„ჩემი უპირატესობა ის არის, რომ მთელი ცხოვრება ისე განვვლე, არც ერთ ჯგუფთან შეკრული არ ვყოფილვარ. არც ფული ამიღია ვინმესგან და არც რაიმე კონტაქტი მქონია, ამიტომაც მშვიდად ვარ და არავინ მანაღვლებს“,** — ამბობს სააკაშვილი, თუმცა რამდენ ხანს გაგრძელდება მისი სიმშვიდე და რამდენად წარმატებული იქნება ოდესის ახალი გუბერნატორის რეფორმები, ამას დრო გვაჩვენებს.

როგორი პრინციპით ჩატარდება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები

მე-6 გვერდიდან

თბილისში, არჩეული 10 მაჟორიტარის ნაცვლად, ხმათა გათანაბრების პრინციპით, დაახლოებით 18 მაჟორიტარი გვეყოლება, რადგან მაგალითად, გლდანისა და სხვა თავკომბალა რაიონების დაყოფა შედარებით პატარა რაიონის მაცხოვრებელთა რიცხვთან გასათანაბრებლად მოუწევთ. ამით პარლამენტში დეპუტატთა რაოდენობა არ შეიცვლება და კვლავ 150 დეპუტატი გვეყოლება. ამომრჩევლების ხმათა გასათანაბრებლად, შესაძლოა ვთქვათ, აჭარისა და სვანეთის გაერთიანება დაგვჭირდეს, რომ იმერეთს დავეწიოთ. საჭირო ხდება საერთო პრინციპის, მიდგომის ან რიცხვის გამონახვა, რომელიც ამ არათანაბარ ოლქებს გაათანაბრებს. ასეთი საერთო ათვლის წერტილი, დიდი ალბათობით, ამომრჩევლის სრული რაოდენობის მაჟორიტარული ოლქების რიცხვზე გაყოფა გახდება, რის შედეგადაც, დაახლოებით 50 000 ხმას ვიღებთ ანუ, ყველა ოლქის მაჟორიტარს თანაბარი რაოდენობის მაჟორიტარი აირჩევს და ეს ნამდვილად სწორია, თუმცა გადასახედი გახდება საარჩევნო ოლქების საზღვრები და 50 000-მდე ასასვლელად, პატარა 5 000 და 6 000-კაციანი ოლქების დაჯგუფება აუცილებლად დაგვჭირდება შესაბამისად, უკვე რამდენიმე დეპუტატმა იგრძნო, რომ 2016 წელს მის მაჟორიტარობას წყალი შეუდგა. ასეთები, ძირითადად, პატარა, მაღალმთიანი ოლქების მაჟორიტარები იქნებიან. ამის შესახებ უკმაყოფილება ვერ დამალა თიანეთის მაჟორიტარმა ზაქარია ქუცნაშვილმა. უკმაყოფილოთა რიცხვში, ალბათ, მისი მეგობრები — ირაკლი ტრიპოლსკი და მირიან წიკლაურიც უნდა მოვიაზროთ, დუშეთისა და ყაზბეგის მაჟორიტარი. ქუცნაშვილს პირდაპირ არ უთქვამს, პატარა რაიონების მაჟორიტარებს რას გვიშვრებითო, მაგრამ ხალხის სახელით მაინც დაიწუწუნა, მთის კანონი ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია, რადგან იქაური მოსახლეობისთვის საგადასახადო და სოციალური შეღავათების დაწესდებაო. საარჩევნო ცვლილებების მიღებით კი, ამ გადამწყვეტ დროს, „მთა წარმომადგენლობის გარეშე უნდა დარჩესო“. ასე ნამდვილად არ არის. უბრალოდ, შესაძლოა, მთის პატარა ოლქებიდან, მაგალითად, 10-ის ნაცვლად 3 გაერთიანებული ოლქი და 3 მაჟორიტარი დეპუტატი მივიღოთ. ასე მოხდება მცხეთა-მთიანეთის შემთხვევაში, სადაც თიანეთი, დუშეთი და ყაზბეგი უნდა გაერთიანდეს. შესაბამისად, სამის ნაცვლად, აქ ერთი დეპუტატი იქნება საკმარისი, სამაგიეროდ, ქუთაისში, რომელიც 150 000-მდე ამომრჩეველს ითვლის, ერთი გუბაზ

სანიკიძის ნაცვლად, სამი დეპუტატის არჩევა მოგვიწევს.

რაც შეეხება მეორე ცვლილებას, ეს მაჟორიტარულ არჩევნებში 50%-იანი ბარიერის დაწესებაა. სხვათა შორის, „ოცნება“, ერთ დროს, იმასაც გვპირდებოდა, პარტიებისთვის დაწესებულ 5%-იან საარჩევნო ბარიერს დავწევო, საუბარი 3%-ზეც იყო, თუმცა ამის შესახებ კოალიციას არაფერი უთქვამს. ისე, როგორც გაჟღერდა, 2020 წელს მაჟორიტარული არჩევნები შესაძლოა, საერთოდ გაუქმდეს, რაც ნიშნავს, რომ მხოლოდ პარტიული სიების იმედად დავრჩებით და როგორც საარჩევნო საკითხებში ჩახედული სპეციალისტები ამბობენ, „თბილისელების“ თავკომბალა პარლამენტს მივიღებთ, რადგან პარტიული სტრუქტურები ყველაზე კარგად ყველა პარტიას დედაქალაქში აქვს გამართული.

რუსთავის №17 ზონაზე „კაიბიჭმა“ ვენები გადაიჭრა

„რომ იტყვიან, ცოლი გაუთხოვდაო, „რამკებს“ ვინ მამტვრევინებს... ერთ ქალს ვერ მოვუარე და ზონას მოვუვლი?!“

პატიმარი №0578

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არის მუხლი, რომელიც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. ბოლო დროს საქართველოში გახშირებული სუიციდის ფონზე, ამ მუხლის შესახებ უფრო ხშირად გვესმის, მაგრამ გაიხსენეთ, ამ მუხლით ვინმე დასჯილა ან გასამართლებულა?! სტატისტიკით, წლის განმავლობაში გარდაცვლილ პატიმართა 50%-ზე მეტი თავს იკლავს. აღსანიშნავია, რომ ბევრი სასჯელაღსრულების დაწესებულებას ფსიქოლოგიურად ვერ უძლებს, ნაწილს პატიმრები ან ზემდეგები ექცევიან ისე, რომ თავის მოკვლას წყვეტს, მაგრამ დიდი ნაწილის სუიციდის მიზეზი სწორედ თავისუფლებაზე უნდა ვეძიოთ. არცთუ იშვიათად ყოფილა შემთხვევა, როცა პატიმარი თავისუფლებაზე გასულა, მკვლელობა ჩაუდენია და მერე თავი მოუკლავს. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ, ამის გამო დიდი ამბები იყო ატეხილი, მაგრამ მერე ყველაფერი მიჩუმდა იმიტომ, რომ დანაშაული აღარ მომხდარა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემა აღარ არსებობს.

შალვა კ. რუსთავის №17 ზონაზე მაშინ მოიყვანეს, როცა წინა ხელისუფლების რეჟიმი ზენიტში იყო. მიუხედავად ამისა, შაკოს თავის დამკვიდრება არ გასჭირვებია — კრიმინალურ სამყაროში კარგად იცნობდნენ და შესაბამისად, საცხოვრებლად მაყურებლების კამერაში უპრობლემოდ შევიდა, შიდაამბების დალაგება დაიწყო და მისი სიტყვა სამართებელივით ჭრიდა. როცა შაკომ პატიმარი №0578 პირველად ნახა „სხადნიაკზე“, წარბები შეყარა, ეს ვინ არისო და როცა გაიგო, №0578 ე.წ. კაიბიჭის სახელს არ ატარებდა, აყვირდა, „სხადნიაკს“ არ დაესწროსო, თუმცა მაყურებელმა ორი სიტყვით გააჩერა: „ჩვენი ძმაა!“

„ჩვენი ძმა“ „სხადნიაკის“ მერე თავად მივიდა შაკოსთან, დაახლოებით, ნახევარი საათი ესაუბრა და მას შემდეგ შაკოს და №0578-ს ერთად ხშირად ხედავდნენ. ისინი ათას რამეზე საუბრობდნენ, შაკომ წიგნების კითხვას უმატა, „სხადნიაკებზე“ ერთად ისხდნენ და იმასაც ყველა ამჩნევდა, რაღაც საჭირბოროტო საკითხის განხილვის დროს, №0578 შაკოს ყურში რომ ეჩურჩულებოდა და ისიც საინტერესო აზრებს ისროდა.

ერთ დღეს, ზონის დაკეტვიდან ნახევარ საათში, მაყურებლების კამერაში ჩოჩქოლი ატყდა. ზონის ეზო ჯერ ზემდეგებმა გადაირბინეს, შემდეგ — ექიმებმა და ბოლოს, ყველამ დაინახა, შაკო საკაცით რომ გაიყვანეს. „რა მოხდა?!“ — ეს იყო ერთადერთი კითხვა, რომელიც ყველა პატიმარს აწუხებდა, მაგრამ ზონა დაკეტილი იყო და დილამდე ვერავინ ვერაფერს გაიგებდა. ეს რომ მაყურებლების კამერა არ ყოფილიყო, მაშინ მაყურებლები თავად მოითხოვდნენ ამბის გაგებას და ზონაც გაიგებდა, მაგრამ ფაქტია, მაყურებლებმა ყველაფერი იცოდნენ, რადგან ის, რაც მოხდა, მათ კამერაში მოხდა. მოულოდნელად, იმ საკნის კარი გაიღო, რომელშიც პატიმარი №0578 ცხოვრობდა და ოფიცერმა, ცერემონიის გარეშე, ანიშნა, გამოდი, მაყურებლები გეძახიანო. №0578-ის თანამოსაკნეებს კი არა, თავად პატიმარსაც პირი ღია დარჩა გაოცებისგან, თუმცა ოფიცერს მაინც გაჰყვა.

„რა მოხდა?!“ — გზაში ჰკითხა ოფიცერს და იმანაც მოკლედ მიუგდო — „შაკომ თავის მოკვლა სცადა“...

მაყურებლების კამერაში ბუღი იდგა. ბიჭები სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდნენ და როგორც კი №0578 ოთახში შევიდა, მაშინვე გარს შემოეხვივნენ.

„რა მოხდა, იცი?! რისთვის? ძლივს გადავარჩინეთ... უბრალოდ, დაეცა, თორემ ვერც გავიგებდით“... — არეულად დაიწყეს მაყურებლებმა.

„დალაგებულად შეგიძლიათ, მითხრათ, რა მოხდა?!“ — იკითხა №0578-მა.

„რაღა რა მოხდა?! ვენები აქვს გადახსნილი, ძვალი უჩანს ისე. პარაშაში შევიდა, ცოტა ხანში დაცემის ხმა გავიგეთ, ალბათ, სისხლისგან რომ იცლებოდა, ფეხზე ვეღარ გაჩერდა. მთელი პარაშა სისხლიანია, გადარჩებაო, ამბობენ, მაგრამ არ ვიცით, რა... ჰოდა, მთელი დღეები რომ ერთად ხართ, რა მოუვიდა, არ იცი? აქ აზრზე არ არის არავინ და შენც თუ არ იცი, მაშინ ძალიან პირადულია“, — ჩაამთავრა მაყურებელმა.

„მე მარტო ის ვიცი, რომ დღეს ტელეფონის ოთხი ბარათი გამოართვა ვალად ტელეფონის „კარტების“ მაყურებელს და საერთოდან დროც აიღო და ნახევარ საათზე მეტი ილაპარაკა. სახლში მაქვს რაღაც გასარკვევიო და მეც აღარ ჩავეძიე. ახლა მთავარი ის არის, როგორმე ბალნიჩკის მაყურებელს გავაგებინოთ, შაკო მარტო არ დატოვოს ოთახში. ამათ კიდიათ, გაკერავენ და მიაგდებენ და იმან კიდევ არ აუტეხოს რამე თავს“, — №0578-მა ახალი პრაქტიკულად ვერაფერი თქვა.

„ბალნიჩკაზე არ გააჩერებენ, ძვალი უჩანდა-მეთქი, ხომ გითხარი. უეჭველი სვაბოდის საავადმყოფოში გაწევენ“, — თვალები მოჭუტა მაყურებელმა.

„შანსი არაა. თავად იფიქრე — მაყურებლების კამერიდან ტიპი გაიყვანეს, ვენებგადაჭრილი და ეგრევე სვაბოდის საავადმყოფოში?! გამორიცხულია, რა. აქ ეყოლებათ და ამიტომ, ბალნიჩკის მაყურებელთან ქსივაა გასაშვები“, — დაბეჯითებით თქვა №0578-მა და ნახევარ საათში ციხის საავადმყოფოს მაყურებელმა ყველაფერი იცოდა და შაკოს პალატაში პირადად დარჩა.

მეორე დილით მთელმა ზონამ იცოდა, რომ შაკომ ვენები გადაიჭრა, მიზეზი — არავინ. ნაშუადღევს, მაყურებლები შაკოს სანახავად გადავიდნენ და მათ №0578-იც გაჰყვა. შაკო ხმას არ იღებდა, ჭერს უყურებდა და მაყურებლებსაც მხოლოდ მიესალმა. ერთი საათი ამაოდ ყოფნისა და კითხვების შემდეგ, მაყურებლები ზონაზე დაბრუნდნენ, №0578 კი შაკოსთან დარჩა. ჯერ ისიც ჩუმად იყო, მერე ფეხზე წამოდგა, კართან მივიდა და ჰკითხა: „შემიძლია, რამეში დაგეხმარო?!“

„მომკალი“, — ჩუმად თქვა შაკომ.

„მითხარი, რატომ და თუ მოსაკლავი ხარ, არ დაგზარდები“, — მოწყენით გაუღიმა №0578-მა.

„ცოლი გათხოვდა“, — ისე ჩუმად თქვა შაკომ, პატიმარმა ძლივს გაიგო.

„მერე?!“ — კითხვა შეუბრუნა №0578-მა.

„რა მერე?! რა მერე?! გათხოვდა, ახლა იძახის, ის ბავშვი, შაკოს დაჭერის მერე რომ გამიჩნდა, ამ სირის არისო ანუ, როცა შაკო გარეთ იყო, მაშინაც ვხვდებოდი ამასო. გესმის, რა ხდება? ეგ გათხოვდა და ბავშვსაც ოფიციალურად მახევენ. არადა, ჩემია ბავშვი და არც იმ სირს ხვდებოდა, რა, ზუსტად ვიცი“, — შაკოს ისტერიკა ეწყებოდა.

„მერე, მაგაზე მარტივი რა არის? გახვალ, დნმ-ის ანალიზს გააკეთებ და დაამტკიცებ, რომ ბავშვი შენია. ეგ ერთი და მეორეც, რომ გაიძახი, ბავშვი ჩემიაო, თავს თუ მოიკლავ, იმ შენს შვილს ის სირი გაზრდის?!“ — შეუტია №0578-მა.

„და ზონაზე რა ვთქვა ახლა?! შაკოს ცოლი გაუთხოვდაო, რომ იტყვიან, მერე „რამკებს“ ვინ მამტვრევინებს, ვინ იტყვის, კაიბიჭიაო? ერთ ქალს ვერ მოვუარე და ზონას მოვუვლი?!“ — შაკო უკვე ტიროდა.

„კარგი, რა, დაიკდე. შენ ხომ იცი, რომ ნახევარზე მეტს ასე აქვს. შენ გაგითხოვდა მაინც და იცი, წავიდა. აქ ხალხია, მისი ცოლი თუ ნაცოლარი არ თხოვდება, პანელზე დგას და საუნაში მუშაობს. ხომ იცი, რომ ასეა?! და გვარები თუ გინდა, მაგასაც გეტყვი, მაგრამ შენ ჩემზე უკეთ იცი“, — №0578 არ თმობდა.

„ეგ ვიცი, მაგრამ.... მოვკლავ, რომ გავალ, მოვკლავ“, — უცებ შეცვალა მიდგომა შაკომ.

„ეგრე ქენი, ოღონდ ახლა დაწყნარდი“, — დაამშვიდა №0578-მა.

***

ერთი კვირის შემდეგ, შაკო ზონაზე დაბრუნდა და ამ თემაზე აღარავის არაფერი უთქვამს. ერთი ეგ იყო: შაკომ №0578-ს საავადმყოფოში დაწყებული ლაპარაკი შეახსენა და ჰკითხა, პანელსა და საუნაზე ვის გულისხმობდიო?! №0578-მა გაუღიმა და ერთ-ერთ პატიმარზე თვალით ანიშნა.

„ეეე, კაი, რა. მაგან ცოლი საუნადან მოიყვანა, იქ გაიცნო და ახლა, უბრალოდ, ფესვებს დაუბრუნდა ის გოგო“, — გაიცინა შაკომ...

თავისუფლებაზე გასულმა შაკომ შვილი მონახა და დნმ-ის ანალიზის გარეშე დაამტკიცა, რომ მისი იყო — ბავშვი გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა. დედა, ახალ ქმართან ერთად, საზღვარგარეთ წავიდა ბედის საძიებლად, ბავშვს კი შაკო ზრდის, მაგრამ... რაღა ზრდის, ერთი თვის წინ, შალვა კ-ს სასამართლომ 4-წლიანი სასჯელი შეუფარდა.

ვერსიანიუსი

შსს-ს აკადემიაში სასკოლო კონკურსისა და საფეხბურთო ტურნირის გამარჯვებულები დაჯილდოვეს

შსს-ს აკადემიაში, პოლიციელის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, ნახატების და ესეების სასკოლო კონკურსის და ფეხბურთის ტურნირში გამოვლენილი გამარჯვებულების დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართა. ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ ესეების სასკოლო კონკურსში „პოლიციელი თვალსაჩინო მოქალაქე“ ოცი საუკეთესო ესეს ავტორი გამოვლინდა, ხოლო ნახატების კონკურსში „ჩემი მეგობარი პოლიციელი“ — ოცი საუკეთესო ნახატის ავტორი, რომლებსაც შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა ნინო გიორგობიანმა, შსს-ს აკადემიის რექტორმა ნუკრი გელაშვილმა და საქართველოს სასკოლო სპორტის ფედერაციის პრეზიდენტმა გია ბეგიაშვილმა სიგელები გადასცეს. აღნიშნული კონკურსი საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით და ორგანიზებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით ჩატარდა. აკადემიაში მოეწყო საუკეთესო ნამუშევრების გამოფენა.

ღონისძიების ფარგლებში ასევე გაიმართა პოლიციელის დღისადმი მიძღვნილი ღია პირველობა მინიფეხბურთში „პოლიციის თასი“, რომელშიც თბილისის საჯარო და კერძო სკოლების 50-ზე მეტმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. საპრიზო ადგილები თბილისის 208-ე, 60-ე, 22-ე და 99-ე სკოლების გუნდებმა დაიკავეს. პირველ ადგილზე გასულ 208-ე სკოლის გუნდს „პოლიციის თასი“ შსს-ს აკადემიის რექტორმა ნუკრი გელაშვილმა გადასცა, მეორე ადგილზე გასული 60-ე სკოლის გუნდი საქართველოს სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა გია ბეგიაშვილმა, ხოლო მესამე ადგილზე გასული 22-ე სკოლის გუნდი, საქართველოს ჩემპიონი საკალათბურთო გუნდის „შსს აკადემიის“ წევრებმა რევაზ როგავამ და აკაკი ლომოურმა თასებით დაჯილდოვეს. საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა გლდანი-ნაძალადევის გამგეობის და საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებმაც მიიღეს. შსს-ს აკადემიის წარმომადგენლებმა ტურნირში მონაწილე სკოლის მოსწავლეებს პრეზენტაცია ჩაუტარეს და აკადემიაში არსებული სასწავლო პროგრამების შინაარსი გააცნეს, აგრეთვე სტუმრებს აკადემიის ინფრასტრუქტურა დაათვალიერებინეს. ესეების და ნახატების სასკოლო კონკურსი ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში ქვეყნის სკოლების დაწყებითი და საშუალო კლასების მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი. ნაშრომები შეაფასა კომპეტენტურმა ჟიურიმ, რომელიც შსს-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის, განათლების და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის წარმომადგენლებისგან შედგებოდა. საქართველოს მასშტაბით გამართული სასკოლო კონკურსის მიზანი იყო მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, მოზარდ თაობასა და პოლიციას შორის ნდობის გაღრმავება და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია.

შსს-მ ორი პირი დააკავა

შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და გასაღების ფაქტებზე გიორგი ღ. და ოთარ მ. დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ გიორგი ღ-მ 550 ლარის სანაცვლოდ მართლსაწინააღმდეგოდ გაასაღა „ბერეტას“ მოდელის პისტოლეტი, რაც ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას მიეკუთვნება და სროლისთვის ვარგისია. სამართალდამცველებმა ოთარ მ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი და შენახული საბრძოლო მასალა ამოიღეს.

გამოძიება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენის, შენახვისა და გასაღების ფაქტებზე მიმდინარეობს (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

8		6	5	3				
			1			6	5	
			7		4		8	3
						2	1	
2								9
	7	1						
1	3		4		6			
	6	8			9			
				1	5	3		8

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

						6	5	
			9					4
				8	7		3	2
	1	8			6			
5		2		3		7		6
			2			4	1	
9	7		4	6				
6					2			
	3	4						

ᲠᲗᲣᲚᲘ

			6			1	8	5
		9	2			6		3
			3					7
		3	4					
		6		5		7		
					7	5		
3					2			
1		5			6	3		
9	2	7			1			

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	6		5	3			1	
		5	6					
4	2							6
				5		9		7
	1			9			5	
5		2		4				
3							2	4
					3	1		
	4			1	2		7	

სამეფო ოჯახი თივით ვაჭროობს

ბელგიის მეფე ფილიპმა და მისმა ოჯახმა ინტერნეტში გასაყიდად გამოიტანეს თივის შეკვრები, რომლის ფასიც 2,2 ევროა და თითოეული მათგანი დახლოებით 13 კილოგრამს იწონის. განცხადება ერთ-ერთ ბელგიურ საიტზე გამოქვეყნდა, სადაც ნათქვამია, რომ დაახლოებით ასი შეკვრა თივა, რომელიც შესანიშნავი ხარისხისაა და პესტიციდებით არ არის დამუშავებული, ვილერ-სიურ-ლესის მიწებზეა მოყვანილი, სწორედ ამ მიწებიდან იღებს შემოსავალს ბელგიის სამეფო ოჯახი. აღსანიშნავია, რომ ქვეყანა მონარქის ოჯახის შენახვაზე ყოველწიურად 11,5 მილიონ ევროს ხარჯავს.

დესერტი მწერებით შეკმაზეს

ჰოლანდიელმა კულინარებმა საზოგადოების სამსჯავროზე უჩვეულო ტკბილეული გამოიტანეს — ნაცხვრები მატლებითა და კალიებით მორთეს. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, საკვებისთვის მწერები საუკეთესო ინგრედიენტია, რადგან მდიდარია პროტეინებით. გარდა ამისა, ნიდერლანდელი კულინარების ეს ჯგუფი გამოცემას ამზადებს, რომელსაც „მწერების სამზარეულოს წიგნი“ (Insect Cookbook) ერქმევა. წიგნის პრეზეტაციაზე შეფმზარეულები მსოფლიოში ყველაზე დიდი, კალიის ღვეზელის გამოცხობას აპირებენ. ქალაქ ჰარლემში კი სპეციალური რესტორანია,სადაც კლიენტებს მწერებისგან მომზადებული კერძებით უმასპინძლდებიან.

ᲫᲐᲚᲚᲘᲡ ᲛᲤᲝᲕᲜᲔᲚᲡ ᲯᲘᲚᲓᲝᲓ ᲡᲐᲮᲚᲡ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ

ჩინელმა ქალბატონი, რომელმაც საყვარელი ძაღლი დაკარგა, ჯილდოდ საკუთარ სახლს სთავაზობს მას, ვინც ოთხფეხა მეგობარს იპოვის და დაუბრუნებს. 70 წლის მოხუცმა, რომელიც პეკინში ცხოვრობს, ამის შესახებ განცხადებები სახლის სიახლოვეს გამოაკრა, მისი უძრავი ქონების ღირებულება კი დახლოებით 650 დოლარია. რამდენიმე დღის შემდეგ მოხუცს უამრავმა ადამიანმა დაურეკა, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ძაღლი იპოვეს ან იციან, სად არის. ამ უსაფუძვლო შეტყობინებების შემოტევის შემდეგ, ქალის ოჯახმა განაცხადა, რომ უკვე მობეზრდათ ცრუ-მესიჯები და გადაწყვიტეს, ძებნა შეწყვიტონ.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲢᲕᲘᲜᲘ ᲐᲦᲛᲝᲣᲩᲘᲜᲔᲡ

კოლუმბიის უნივერსიტეტის სწავლულებმა, გამოკვლევების შედგად დაადგინეს, რომ ადამიანის ორგანიზმში, გარდა უკვე ცნობილი თავისა და ზურგის ტვინისა, არსებობს მესამე — ნაწლავების ტვინიც. ის დამოუკიდებლად ფუნქციონირებს და უზრუნველყოფს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობას. ნაწლავების ტვინის ავტონომიურობის მტკიცებულებაა ის ფაქტი, რომ აგრძელებს მუშაობას იმ შემთხვევაშიც კი, როცა კარგავს კავშირს თავისა და ზურგის ტვინთან. მეცნიერები, რომლებმაც ამ სფეროში რამდენიმე კვლევა ჩაატარეს, მიიჩნევენ, რომ აუცილებელია, ნაწლავებს უფრო მეტი ყურადღება მიექცეს.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

1	3	5	4	2	8	9	7	6
7	6	4	3	9	5	2	1	8
2	8	9	7	6	1	5	3	4
9	7	1	8	5	4	6	2	3
8	5	6	2	3	9	1	4	7
4	2	3	6	1	7	8	9	5
6	1	8	9	7	3	4	5	2
5	4	7	1	8	2	3	6	9
3	9	2	5	4	6	7	8	1

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

3	7	1	8	6	5	4	2	9
2	9	6	1	7	4	3	8	5
8	5	4	2	9	3	1	6	7
1	6	5	4	8	2	9	7	3
9	8	2	5	3	7	6	4	1
7	4	3	6	1	9	8	5	2
5	3	9	7	4	8	2	1	6
6	2	8	3	5	1	7	9	4
4	1	7	9	2	6	5	3	8

ᲠᲗᲣᲚᲘ

4	8	5	2	3	1	6	7	9
3	9	7	6	5	4	2	1	8
6	1	2	9	8	7	5	4	3
5	2	3	1	9	8	4	6	7
1	4	6	7	2	3	9	8	5
9	7	8	4	6	5	3	2	1
2	5	1	8	4	9	7	3	6
7	6	9	3	1	2	8	5	4
8	3	4	5	7	6	1	9	2

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3	2	1	8	9	7	6	5	4
9	8	7	5	6	4	3	2	1
6	5	4	1	2	3	9	8	7
8	9	3	7	5	1	4	6	2
4	7	6	3	8	2	5	1	9
2	1	5	6	4	9	7	3	8
1	3	2	4	7	6	8	9	5
5	4	9	2	3	8	1	7	6
7	6	8	9	1	5	2	4	3

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

1	9	8	7	6	5	4	3	2
7	5	3	4	2	1	9	6	8
4	6	2	9	3	8	1	7	5
9	8	7	3	5	6	2	4	1
6	4	5	2	1	9	3	8	7
3	2	1	8	7	4	6	5	9
2	1	6	5	8	3	7	9	4
5	7	4	6	9	2	8	1	3
8	3	9	1	4	7	5	2	6

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

3	2	5	6	1	9	4	8	7
6	1	7	5	4	8	3	2	9
9	8	4	7	3	2	6	1	5
5	4	1	8	2	7	9	3	6
2	3	9	4	6	5	1	7	8
8	7	6	1	9	3	5	4	2
7	9	3	2	5	1	8	6	4
1	6	8	9	7	4	2	5	3
4	5	2	3	8	6	7	9	1

ᲠᲗᲣᲚᲘ

9	5	2	8	1	7	6	4	3
3	4	8	6	2	5	7	9	1
7	1	6	9	4	3	5	2	8
8	9	1	7	6	4	3	5	2
2	3	5	1	9	8	4	7	6
6	7	4	5	3	2	1	8	9
1	2	7	4	8	6	9	3	5
5	8	9	3	7	1	2	6	4
4	6	3	2	5	9	8	1	7

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

6	4	5	3	2	1	9	8	7
3	2	1	7	9	8	6	5	4
9	8	7	6	5	4	3	2	1
5	7	2	4	3	6	1	9	8
4	9	8	5	1	2	7	6	3
1	3	6	9	8	7	5	4	2
8	6	3	2	7	9	4	1	5
7	1	4	8	6	5	2	3	9
2	5	9	1	4	3	8	7	6

მე-10 გვერდი: 1. ბეზმენი; 2. ეპოპეა; 3. მეტალი; 4. ნარი; 5. სტატიკა; 6. ტრაური; 7. ტიმორი; 8. კარტიე; 9. პოსტერი; 10. ოკულარი; 11. ალიშერ; 12. აბრისი; 13. პალმირა; 14. ეზოპე; 15. უფლისციხე; 16. დიურერი; 17. ბულიკა; 18. „ფეოლა“; 19. ოწინარი; 20. სკოლა; 21. ანუბისი; 22. ნიკელი; 23. გონიტი; 24. სიგარა; 25. სიზიფე; 26. „ავატარი“; 27. წრიაპი; 28. სინაგოგა; 29. გენომი; 30. ასი; 31. კალაშნიკოვი; 32. სიენა; 33. ნანა; 34. ოფი; 35. სვე; 36. რურკი; 37. ინა; 38. ნანეტი; 39. იაფეტი; 40. აბრა; 41. ეტი; 42. ბინა; 43. ეკიუ; 44. მაგატე; 45. ნიცა; 46. რეხა; 47. ბიუსტი; 48. ნაია; 49. ტუ; 50. იამბი; 51. პა; 52. ლუკინო; 53. აგა; 54. ლა; 55. მისტერ; 56. პრესი; 57. ადიუ; 58. ძუა; 59. ალფა; 60. ატა; 61. იავა; 62. ესე.

მე-12 გვერდი: 1. ქსენძი; 2. სიოგუნი; 3. ნესტარი; 4. პეპელა; 5. ექსორია; 6. ეკლექტიკა; 7. ჰონსიუ; 8. დეზდემონა; 9. ამადუ; 10. ჭრაქი; 11. ალქიმია; 12. კოლოსი; 13. ეფენდი; 14. სკრა; 15. რენე; 16. კორა; 17. ფინალი; 18. ეტლი; 19. ფიზიკა; 20. დილეტანტი; 21. ახალუხი; 22. კილტი; 23. ფაქიზო; 24. იკი; 25. დამიანე; 26. კლეფსიდრა; 27. ლაილაში; 28. ლებარდე; 29. წამალი; 30. ეჩმიაძინი; 31. ისმაილი; 32. ლოდი; 33. იონია; 34. ელიტა; 35. ბია; 36. „აეკი“; 37 ერატო; 38. იენი; 39. ფარა; 40. ავი; 41. აგრიპა; 42. კოლიზეი; 43. ზანა; 44. სტაბია; 45. ვიერი; 46. „აინტრახტი“; 47. ანდამატი; 48. კორიდა; 49. დაივინგი; 50. მამაი; 51. ტაიგა; 52. ზაგრები; 53. ურა; 54. ტრაპი; 55. აკინი; 56. ნონეტი; 57. სიტი; 58. ძირთეთრა; 59. ტატუ; 60. სინაი; 61. მრისხანე; 62. რკინა; 63. აპისი; 64. დანი; 65. აისი; 66. სელენე; 67. მორუა; 68. სურო; 69. ტუ; 70. მენინგიტი; 71. რანიერი; 72. ნეო; 73. ელ; 74. ელი; 75. ვარნა; 76. იერი; 77. ოკეი; 78. ფილე; 79. სირ; 80. ტოტია; 81. ვაი; 82. ოთარ; 83. რე; 84. მნე.

1. პატიმრის დასასჯელი ოთახი
2. ადამიანის ბიოველი
3. საზოგადოებრივი განვითარების დონე
4. მუს. ნაწარმოების ფორმა
5. ქვეყანა ჩრდილოეთ ამერიკაში
6.ბედნიერი და უმტკივნეულო სიკვდილი
7.დავით აღმაშენებლის „გალობანი...“
8. მართკუთხა სამკუთხედის გვერდი
9. უძველესი სახნელი იარაღი
10. ქართველი მწერალი
11. აბრეშუმის მკვრივი ქსოვილი
12.მოტიტვლებული, მწირი ადგილი
13. ჭუჭრუტანიდან ბნელში შემოს. სხივი
14. კიმონოს შესაკრავი ქამარი
15. სხვადასხვა მხარეს მზირალი თვალები
16. ამერიკელთა მეტსახელი
17. მთელი ქვეყანა, დედამიწა
18. საჭმელების ჩამონათვალი რესტორანში
19.ცხრა მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
20. ვარსკვლავთა კრებული
21. ნებისყოფის პათოლოგ. სისუსტე
22. გათავისუფლებული ყმა
23. პერუს დედაქალაქი
24.ოთახის მოკლებეწვიანი ძაღლი
25. ნახევრად ძვირფასი ქვა
26. გამოუწვავი აგური
27.მესაქონლეობის ფერმა აშშ-ში
28.კენტის ანტონიმი
29.ყვავილთა მეფე
30.სასვენი ნიშანი
31.„თანხმობის ნიშანი“
32. ძირითადი აზრი, რაობა
33. მოაჯირის ფიგურული სვეტი
34. იგივეა, რაც მძორი
35. ცხენის ნაშიერი
36.მარნის პატრონი „ღვინის ქურდებში“
37. რუსეთის ფედერაციის სუბიექტი
38. ტკივილის გამომხატველი შორისდებ.
39.ალიაქოთი, აურზაური
40.მუს. მისალმება
41. გაზაფხულის ყვავილი
42. საოპერო პარტია
43. კვანტური თეორიის შემქმნელი
44. ელექტრული სიმძლავრის ერთეული
45. კოვზოების შეჯიბრება
46. ნოველა „კარმენის“ ავტორი
47. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში
48. სასროლეთი
49.ორადგ. ველოსიპედი
50.შექსპირის მეფე
51. ისტორიული რეგიონი სამხრეთაღმოსავლეთ აზიაში
52. მსახიობი ... ბერიმორი
53. ქალაქი ყირგიზეთში
54. ისტორიული მხარე სომხეთში
55. აშშ-ის ტელეპრემია
56. ნეპალის ერთ-ერთი ენა
57.ძველეგვიპტელთა წმინდა ხარი
58. თვალის ფერადი გარსი
59. სვეტებიანი გალერეა
60. ჯავშნიანი ქვეწარმავალი
61. მდინარე რუსეთში
62.სიგრძის საზომი ერთეული ძველაქართ.
63.თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა

უნაკლო ქოლგა შეიქმნეს

იაპონელმა დიზაინერებმა შექმნეს ქოლგა, რომელსაც არანაირი ნაკლი არ აქვს — მაგალითად, როცა უამინდობისას ეს აქსესუარი გიჭირავთ, ყოველთვის არის რისკი, რომ დასველდეთ, მასთან ერთად უხერხულია მანქანაში დაჯდომა და გადმოსვლაც. გამოგონება, რომელსაც სპეციალისტებმა ამომავალი მზის ქვეყნიდან „ანტიქოლგა“ უწოდეს, უკულმა იკეცება, ასე რომ, არც ერთი წვეთი არ დაეცემა პატრონს. მთელი წყალი გროვდება შიგნით, ხოლო მშრალი მხარე გარედან ექცევა. ეს კი ნიშნავს, რომ მეტროში ან სხვა ტრანსპორტში მგზავრობისას არ შეგექმნებათ უსიამონოვება სველი ქოლგის გამო. დაკეცვის შეცვლილი მექანიზმის გამო, ის საკმაოდ მოსახერხებელია ავტომანქანით მგზავრობისას. თანაც, დაკეცილი ქოლგა შეგიძლიათ, უბრალოდ, დადგათ იატაკზე და გაშრობის დროსაც მინიმალურ ადგილს დაიკავებს. იაპონელებმა უკვე დაიწყეს „ანტიქოლგის“ სერიული გამოშვება — დიზაინერ ხიროში კაშიმოტოსგან მისი ყიდვა 211 დოლარად არის შესაძლებელი.

მეტროში უწესოდ ჯდომისთვის აჯარიმებენ

ამიერიდან ნიუიორკელ მამაკაცებს მოუწევთ, ყურადღებით იყვნენ, ვიდრე მეტროს ვაგონში სკამზე ადგილს დაიკავებენ — უწესოდ ჯდომის გამო მათ ჯარიმა ემუქრებათ. პირადი სივრცის პრობლემა მეგაპოლისის მცხოვრებთათვის დიდი ხანია აქტუალური თემაა. ბოლო დროს სოციალურ ქსელებში პოპულარობა მოიპოვა ფოტობლოგებმა, სადაც იმ მამაკაცების ფოტოებს აქვეყნებენ, ვინც მეტროში ფართოდ გაშლილი ფეხებით ზის. როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, სამოქალაქო პროტესტის მსგავსი ფორმა უყურადღებოდ არ რჩება ნიუ იორკის ხელისუფლებას. მათ მიიღეს ახალი კანონი, რომლის მიხედვითაც, პირადი სივრცის დამრღვევს დააჯარიმებენ. ჯერჯერობით უცნობია თანხა, მაგრამ უწესოდ ჯდომის გამო დაჯარიმების ფაქტები უკვე დაფიქსირდა.

კოფეინი მხედველობას იცავს

ტოკიოს უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის მეცნიერები აცხადებენ, რომ კოფეინის მოხმარება აუმჯობესებს ცრემლის გამომუშავების უნარს. სპეციალისტების თქმით, აღმოჩენა საშუალებას მისცემს, დაიხვეწოს ე.წ. მშრალი თვალის სინდრომის მკურნალობის მეთოდი. სინდრომს (ცრემლის აპკი შრება და ვერ ასწრებს აღდგენას) ახლავს ისეთი სიმპტომები, როგორიცაა თვალში უცხო სხეულის შეგრძნება, წვა, ქავილი, სიმშრალე, შუქის შიში, თვალის სწრაფი დაღლა. იაპონელ სწავლულთა კვლევაში 78 ადამიანი მონაწილეობდა, რომლებიც კოფეინსა და პლაცებოს იღებდნენ. შედეგად, ვინც კოფეინს იღებდა, მნიშვნელოვნად გაეზარდა ცრემლის გამომუშავება. მკვლევარები აცხადებენ, რომ კოფეინის მიღებას მხოლოდ იმ პაციენტებს ურჩევენ, ვინც შედარებით მგრძნობიარეა ამ ნივთიერების მასტიმულირებელი ეფექტის მიმართ. „მშრალი თვალის“ სინდრომის არსებობისას კი, სწავლულები გვირჩევენ, სპეციალისტს მივმართოთ.

სუდოკუ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

5	1				7			2
	2		1				8	9
		7	3		8			
	9			1	4	5		
		1	8	5			9	
			4		3	8		
8	4				1		3	
7			5				4	6

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

					1			
1		9					6	
2		7		5	4	3		
					3	6		2
		5				4		
7		1	5					
		4	7	2		1		3
	7					8		5
			3					

ᲠᲗᲣᲚᲘ

1	9					8		6
	4						2	
		3			8			
		4		5	1			
9	6			3			1	5
			9	6		2		
			1			4		
	8						3	
3		7					6	9

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	7	8	9		4		3	
	6	5						7
4								8
		3	7		9			
	8			4			9	
			2		6	3		
6								3
3						8	4	
	9		4		7	6	2	

მსუქანი პოლიციელები სამსახურს დაკარგავენ

დიდ ბრიტანეთში, სკოტლანდ-იარდის კომისარმა განაცხადა, რომ ლონდონში არ უნდა მუშაობდნენ სამართალდამცავები, რომელთაც ჭარბი წონის პრობლემა აქვთ. როგორც ძალოვანი სტრუქტურის მეთაური აცხადებს, ის თანამშრომლები, რომელთა წონა ნორმას აჭარბებს და სიმსუქნე ხელს უშლის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაში, გათავისუფლდებიან. პოლიციელებს, რომლებიც ფიზმომზადების ნორმატივებს ვერ ჩააბარებენ, მიეცემათ დრო გადამზადებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მოუწევთ სახლში წასვლა. კომისარმა ტესტირების ნორმებიც გააკრიტიკა, არადა ბრიტანელი პოლიციელები ფიზიკური მომზადების დონის ტესტებს ყოველწლიურად გადიან — ეს აერობული დატვირთვაა, რომლის დროსაც სამართალდამცავები მრავალჯერ გადიან ერთსა და იმავე (20-მეტრიან) დისტანციას სიჩქარისა და მოქნილობის შესამოწმებლად.

ყველაზე საშინელი მანეკენი

მექსიკაში, ჩიხუახუას შტატის ერთ-ერთ მაღაზიაში მანეკენი La Pascualita ბოლო 75 წლის განმავლობაში „ცხოვრობს“. როგორც ქალაქის ლეგენდა მოგვითხრობს, La Pascualita მაღაზიის მფლობელის გარდაცვლილი ქალიშვილია, რომლის გვამიც ამდენი ხნის განმავლობაში კვლავ „მშვენივრად“ გამოიყურება. მრავალი წლის განმავლობაში ამ საშინელი მანეკენის ისტორია უამრავ მნახველს, მათ შორის მასმედიის წარმომადგენლებს იზიდავს როგორც შტატიდან, ასევე მთელი მექსიკიდან. მაღაზიაში არც ტურისტების ნაკლებობას უჩივიან — La Pascualita-ს სამხრეთ ამერიკიდან, აშშ-სა და ევროპიდან ჩამოსულებიც აკითხავენ, რათა საკუთარი თვალით იხილონ საპატარძლო კაბაში გამოწყობილი, გარდაცვლილი გოგონას „გვამი“.

ბედნიერი ქორწინების ფორმულა გამოიყვანეს

ამერიკელმა მეცნიერებმა მათემატიკური ფორმულა გამოიყვანეს, რომელიც 94%-იანი სიზუსტით წინასწარმეტყველებს, დაქორწინებული წყვილი დარჩება ერთად თუ დაშორდება. ფორმულის ერთ-ერთი ავტორის თქმით, ნაშრომი საკმაოდ მაღალი ალბათობის სიზუსტით პროგნოზირებს, ქორწინება ბედნიერი იქნება თუ არა, საკმარისია მხოლოდ რამდენიმე წუთით დაკვირვება, როგორ განიხილავს ცოლ-ქმარი საკამათო საკითხს, რომელიც, მაგალითად, ფულს, ბავშვის აღზრდას ან დასასვენებლად წასვლას ეხება. მეცნიერები აცხადებენ, რომ დადებითი და უარყოფითი პასუხებისა და პატნიორებს შორის სიგნალებისთვის გარკვეული ქულები იწერება, რომელთა მიხედვითაც სპეციალისტები გამოთვლიან ფორმულას და დაასკვნიან, ქორწინება მტკიცე იქნება თუ არა. მეუღლეებს შორის ხუმრობა, კეკლუცი, ღიმილი და ნაზი ჟესტები დადებით სიგნალებად ითვლება, უარყოფითს კი სარკაზმი, თვალების „დაქაჩვა“ და სხვა ჟესტები მიეკუთვნება. სწავლულების თქმით, პასუხების იდეალური თანაფარდობაა — ხუთი დადებითი სიგნალი ერთი უარყოფითის წინააღმდეგ, ნებისმიერ წყვილს კი, რომელიც ასეთ ქულებს ვერ მოაგროვებს, უსიამოვნება ელის.

მილიონერი მონასტერში წავიდა



ინდოეთის ერთ-ერთმა უმდიდრესმა ადამიანმა უარი თქვა ქონებაზე და ბერად აღიკვეცა. ბჰანვარლალ დოში ჯაინისტების ორდენს შეუერთდა. დოში ინდოეთში „პლასტმასის მეფის“ სახელითაა ცნობილი, რადგან ქონება (დაახლოებით 100 მილიონი დოლარი) სწორედ პლასტმასის ნედლეულით ვაჭრობით იშოვა. მილიონერი, რომელსაც ორი ბიჭი და ერთი ქალიშვილი ჰყავს, რელიგიით ჯერ კიდევ 1982 წელს დაინტერესდა. სამი წლის წინაც უნდოდა მონასტერში წასვლა, მაგრამ მაშინ ოჯახმა გადააფიქრებინა. თუმცა საბოლოოდ, მაინც მოახერხა ოჯახის წევრების დარწმუნება და რამდენიმე დღის წინ მისი ბერად აღკვეცის საზეიმო ცერემონიაც შედგა, რომელსაც ორი ათასამდე ადამიანი ესწრებოდა.

მწეველთა ოჯახს ბავშვი ჩამოართვეს

ინგლისის საგრაფო ჰამბერსაიდში ორი წლის ბიჭი გააშვილეს იმის გამო, რომ სიგარეტის კვამლით გაჟღენთილ სახლში ცხოვრობდა. ბავშვის ჩამორთმევის საფუძველი ხელისუფლების შეშფოთება გახდა ბიჭის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. სოციალური სამსახურის წარმომადგენლის განცხადებით, რომელმაც ჩვენება მისცა ქალაქის სასამართლოში, შენობა იმდენად იყო გაკვამლული, რომ სუნთქვა ჭირდა. გარდა ამისა, სახლში ისეთი სიბინძურე იყო, დიდი ხანია, სანიტარულ ნორმებზე იქ არავის უზრუნია. სოციალურმა მუშაკებმა სხვა პრეტენზიებიც გამოთქვეს იმ პირობებზე, სადაც ბიჭი იმყოფებოდა. სასამართლოზე ისიც აღინიშნა, რომ ორი წლის ბავშვს უკვე ინჰალატორის გამოყენება სჭირდება, რადგან სუნთქვის პრობლემები აქვს.

1.სახიობის დუბლ. რთული ტრიუკების შესრულებაში
2.ავტომობილის მოძრაობა მრუდ ხაზზე
3. (მოძე) საკვარიმო კუთხური დარტყმა ფეხბურთში
4. ჯარების უფროსი, მხედართმთავარი
5.საყვარლის ხარჯზე მცხოვრები მამაკაცი
6. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
7.ბიტუმით გაჟღენთილი საიზოლაციო მასალა
8. კენკროვანი მცენარე
9.ბიბლიუ-რი მოსეს უმცროსი ვაჟი
10. ბელო-რუსიის დედაქალაქი
11. დიდი საკვარო წარმატება
12. დინამიტის გამომგონებელი
13. მე-8 მუსიკალური ინტერვალი
14. ქალის კაბის გრძელი უკანა კალთა
15. „ულვაშებიანი" თევზი
16.ნიგერის დედაქალაქი
17.თურქეთის ვალუტა
18. თაგვის საცხოვრებელი
19. სასვენი ნიშანი
20. პალმის ერთ-ერთი სახეობა
21.თვალის ფერადი გარსის ანთება
22. ჰოლივუდის ვარსკვლავი რასელ ...
23. ნადირობის ქალღმერთი ქართულ მითოლოგიაში
24.ფეართობის საზომი ერთეული ინგლისში
25. შენობაში ამოყვანილი ღია აივანი
26. მდიდრული აგარაკი
27. იაპონიის დედაქალაქი
28. საქართველოს საფეხბ. ნაკრების კაპიტანი
29.ტატია-ნას გვარი „ევგენი ონეგინში"
30. თავადის ცოლი
31. თბილისის უბანი
32. ძალიან ბრაზიანი, ანჩხლი
33.მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ენციკლოპედია
34. დიდი ჩაქუჩი
35. დიდი დელფინი
36. მამაკაცის ვარცხნილობის ტიპი
37.რადიოაქტივობის საზომი ერთეული
38. ვისოცკის ფრანგი მეუღლე
39.ხუროთმოძღვრების ძეგლი რაჭაში
40. მთის დიდი არწივი
41. ტექნიკური ზეთი
42. დაუკოდავი ხარი
43. ხმელთაშუა ზღვის ნაწილი
44. კავკასიის მთიელთა სოფელი
45. მნიშვნელოვანი აზრი, ჩანაფიქრი
46. სპილ-ბერგის უცხოპლანეტელი
47. ხის ქოჩორი
48.ბალახის ჩრდილი
49.ტაილანდელთა ენა
50.ველური კომში
51. ვაზების მწკრივი ვენახში
52. დღე-ღამური როლობის დღე
53. ინდური კობრა
54.ზღვის სიღრმეების საკვლევი აპარატი
55. ტანსაცმლის მოდელების დემონსტრირება
56. საკონდიტრო ნაწარმი
57. ირლანდიის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე
58. „ძე" - არაბულ გვარებში
59.ყურის ანთება
60.პიტალო კლდე
61. ჩირქოვანი გამონაყარი სახეზე
62. მემკვიდრეობის ფუნქციური ერთეული
63. თავდაცვიწყების მდინარე ბერძ. მით.
64. მსხვილად ნაგრეხი კანაფი
65. დიდი ზომის მღრღნელი
66. საყანედ გაკაფული ტყე
67. ქალის ძველი ქართული სახელი
68. შლამის თევზი
69. „ხელის ჭუჭყი"
70. პარკოსანი მცენარე
71.ბგერის გრაფიკული ნიშანი
72. ცეცხლის მნათი ნაწილი
73. მონარქიული ქვეყნების გაერთიანება ერთ-ერთი ქვეყნის მეთაურობით
74. პატარა ტყე მინდორში
75. ბატკნის მოგების დრო
76. თევზის ძვალი
77. ფუჭი, უშედეგო
78. ესპერანტოს ვარიანტი
79.მხარე, მიდამო
80. VII ნოტი
81.მითიური ამირანის ერთ-ერთი ძმა
82. სიმინდის ყვავილედი
83. მჭევრმეტყველი
84.ესპანე-ლის და ინდიელის შთამომავალი
85.ეშმაკი ევროპის აღორძ. ეპოქის მითოლოგიაში
86. მტკვრის უდიდესი შენაკადი
87. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი

კაფეში შავ მაგიას „ყიდიან"

ტაილანდში გახსნილი კაფე Ace and Cups, ყავასთან ერთად სასიყვარული შელოცვებსა და შავ მაგიასაც ყიდის. ახალი დაწესებულება ქვეყნის დედაქალაქ ბანგკოკის ცენტრში გაიხსნა და როგორც მედიაში იუწყებიან, უკვე იქცა ახალგაზრდა „ოკულტისტი ენთუზიასტების" თავშეყრის პოპულარულ ადგილად. კაფეს ქვედა სართულზე შეგიძლიათ შეუკვეთოთ სასმელი, სხვადასხვა კერძი და „ჯადოქრობის" ინსტრუმენტები, ზედა სართულზე კი კლიენტებს „ზებუნებრივ" სერვისებს სთავაზობენ. კერძოდ, ვიზიტორებს შეუძლიათ საკუთარი სურვილები გაამხილონ, ამის შემდეგ კი მათ მათი შესრულების შესაძლო ვარიანტებს სთავაზობენ. მომსახურებაში შედის ასევე სასიყვარულო ჯადოს დადება, ტაროს კარტზე მკითხაობა და ავი სულების განდევნის პროცედურები. ყავა, ჩაი, გაზიანი სასმელი და ნამცხვარი კი კლიენტს შეუძლია საკუთარი ზოდიაქოს ნიშნის მიხედვით შეარჩიოს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.